



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქსტატი

აკვაკულტურის მეურნეობების გამოკვლევის კითხვარის შევსების ინსტრუქცია

დამტკიცებულია სსიპ „საქსტატის“ საბჭოს 2019 წლის 19 თებერვლის № 4 დადგენილებით

ცნებები და განმარტებები

საანგარიშო პერიოდი - პერიოდი, რომლისთვისაც ხორციელდება მონაცემების შეგროვება კვლევის ობიექტის შესახებ.

აკვაკულტურა - წყლის ორგანიზმების (თევზების, კიბოსნაირების, მოლუსკების, წყალმცენარეების და ა.შ.) მოშენება ბუნებრივ ან ხელოვნურ წყალსატევებში, რომელიც გულისხმობს პროდუქტიულობის ამაღლების მიზნით წყლის ორგანიზმების გამრავლებაში, კვებასა და დაცვაში რეგულარულ ჩარევას.

აკვაკულტურის მეურნეობა - ეკონომიკური ერთეული, რომელიც ერთიანი ხელმძღვანელობის ქვეშ ეწევა აკვაკულტურას, მიუხედავად მისი ზომისა, იურიდიული სტატუსისა, აქტივების მფლობელობის ფორმისა და წარმოების მიზნისა.

მეურნე - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც იღებს ძირითად გადაწყვეტილებებს მეურნეობის რესურსების გამოყენების შესახებ, უძღვება (აკვაკულტურის) მეურნეობას და მეურნეობის მიმართ აქვს ფინანსური და ეკონომიკური უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა. მეურნის ტიპებია: შინამეურნეობა და იურიდიული პირი. იმ შემთხვევაში თუ მეურნე შინამეურნეობაა, **მეურნის** ცნებაში აგრეთვე იგულისხმება შინამეურნეობის ის წევრი, რომელიც ხელმძღვანელობს (აკვაკულტურის) მეურნეობას.

ძირითადი საქმიანობა - საქმიანობა, რომელიც ხასიათდება კონკრეტული ეკონომიკური სუბიექტის მიერ მთლიანი დამატებული ღირებულების შექმნაში უდიდესი წილით.

არაძირითადი საქმიანობა - ძირითადი საქმიანობისგან დამოუკიდებლად მიმდინარე საქმიანობა, რომელიც არ ხასიათდება კონკრეტული ეკონომიკური სუბიექტის მიერ მთლიანი დამატებული ღირებულების შექმნაში უდიდესი წილით.

დამხმარე საქმიანობა - ეკონომიკური სუბიექტის ის საქმიანობა, რომელიც ძირითად ან/და არაძირითად საქმიანობებს უქმნის პირობას ან უწყობს ხელს.

წყალსატევი - წყლის დაგროვება ბუნებრივ ან ხელოვნურ რეზერვუარში ან კალაპოტში გამავალი წყლის ნაკადი.

წყალსატევი აკვაკულტურისათვის (აკვაკულტურისათვის განკუთვნილი წყალსატევი) - წყალსატევი, რომელიც გამოიყენება წყლის ორგანიზმების მოსაშენებლად (აკვაკულტურისათვის). აკვაკულტურისათვის განკუთვნილი წყალსატევის ტიპებია - აუზი, ტბორი, ტბა/ტბის ნაწილი, წყალსაცავის ნაწილი, მდინარის ნაწილი და ზღვის ნაწილი.

იჯარით აღებული წყალსატევი/მიწა - წყალსატევი/მიწა, რომელიც აღებულია სახელმწიფოსგან ან კერძო პირისგან ხელშეკრულებით ან მის გარეშე, სასყიდლით ან უსასყიდლოდ, ქვეიჯარით გაცემული წყალსატევის/მიწის ჩაუთვლელად.

იჯარით გაცემული წყალსატევი/მიწა - წყალსატევი/მიწა, რომელიც გაცემულია კერძო პირზე ხელშეკრულებით ან მის გარეშე, სასყიდლით ან უსასყიდლოდ.

საკუთრებაში არსებული წყალსატევი/მიწა - იურიდიულად რეგისტრირებული წყალსატევი/ მიწა, ან ისეთი დაურეგისტრირებელი წყალსატევი/მიწა, რომელიც გამოიყენება, როგორც საკუთარი, იჯარით გაცემული წყალსატევის/მიწის ჩათვლელად.

სარგებლობაში არსებული წყალსატევები/მიწა - საკუთრებაში არსებული და იჯარით აღებული წყალსატევების/მიწის ერთობლიობა.

აუზი - წყლის დაგროვება საშენი მასალით მოპირკეთებულ თხრილში ან ხელოვნური მასალით დამზადებულ რეზერვუარში.

ტბორი - რეზერვუარში, გრუნტზე წყლის ხელოვნური დაგროვება.

ტბა - ბუნებრივად წარმოქმნილი წყლის დაგროვება ბუნებრივ რეზერვუარში (ქვაბულში).

წყალსაცავი - განსაზღვრული მიზნით (საირიგაციო, ჰიდროენერგეტიკული, კომპლექსური და ა.შ.) შექმნილი წყლის დაგროვება ხელოვნურ ან ბუნებრივ რეზერვუარში.

წყლის მიმოცვლის გამდინარე სისტემა - წყლის მიმოცვლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს აუზში ან ტბორში ახალი წყლის მუდმივ (უწყვეტ) შემოდინებასა და გადინებას.

წყლის მიმოცვლის ჩაკეტილი სისტემა - წყლის მიმოცვლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს აუზის ან ტბორის ცირკულირებული წყლით მომარაგებას. სახელდობრ, აუზსა და ტბორში წყლის შემოდინება-გადინება ხდება მუდმივად (უწყვეტად), გადინებული წყალი საჭიროებისამებრ იწმინდება ან მდიდრდება ჟანგბადით ან ქიმიური ნივთიერებებით და ბრუნდება (მთლიანად ან ნაწილობრივ) წყალსატევში.

წყლის მიმოცვლის გაუმდინარე სისტემა - წყლის მიმოცვლის სისტემა, რომელიც გულისხმობს აუზის ან ტბორის წყლით ერთჯერადად შევსებას და მის გამოყენებას გადინების გარეშე, ვიდრე არ მოხდება წყალსატევის დაცლა და მისი ხელახალი შევსება.

ზედაპირული წყლები - მიწის ზედაპირზე თხევად ან მყარ მდგომარეობაში არსებული წყალი (მდინარეები, ტბები, ზღვები, მყინვარები და ა.შ.).

მიწისქვეშა წყლები - მიწის წიაღში თხევად, მყარ ან აირად მდგომარეობაში არსებული წყალი.

ქვირითი - თევზების, მოლუსკების, ამფიბიების და წყლის ზოგიერთი სხვა ორგანიზმის სასქესო უჯრედები (კვერცხუჯრედები), რომლებსაც მდედრები გროვებდად ყრიან.

სამქრო წესით წარმოებული ქვირითი - ქვირითი, რომელიც მიიღება წყლიდან ამოყვანილი მდედრისგან ადამიანის უშუალო ჩარევით (თევზის გამოწურვა, გაკვეთა და ა.შ.).

განაყოფიერებული ქვირითი - ქვირითი, რომელიც მიიღება მასში მამრი თევზის სპერმის შერევის შედეგად და წარმოადგენს თევზის განვითარების პირველ საფეხურს.

ლარვა (თევზის) - განაყოფიერებული ქვირითიდან გამოჩეკილი ემბრიონი, რომელსაც ჯერ არ გააჩნია თევზისათვის დამახასიათებელი ნიშნები.

ლიფსიტა - ლარვობის სტადიიდან გამოსული თევზი; მცირე ზომის, სქესობრივად მოუმწიფებელი, თუმცა სახეობისათვის დამახასიათებელი თითქმის ყველა ნიშნით.

სასაქონლე თევზი - ლიფსიტობის სტადიიდან გამოსული თევზი, სქესობრივად მომწიფებული ან ჯერ კიდევ მოუმწიფებელი, რომელსაც უკვე გააჩნია სახეობისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი და რომლის გამოყენება შესაძლებელია საკვებად, რეპროდუქციული ან სხვა მიზნით.

ნედლი თევზი - რეალიზაციისათვის, გაჩუქებისათვის, მეურნეობაში მოხმარებისათვის ან გადამუშავებისათვის წყალსატევიდან ამოყვანილი (დაჭერილი), არაცოცხალი ან ჯერ კიდევ ცოცხალი თევზი, რომელიც განკუთვნილია ადამიანის, ცხოველის, ფრინველის ან წყლის ორგანიზმების საკვებად.

სადედე ჯოგი / მამრ მწარმოებელთა ჯგუფი - სქესობრივად მომწიფებული მდედრი/მამრი თევზებისგან ჩამოყალიბებული სპეციალურად გამოყოფილი ჯგუფი, რომლის შემადგენელებს მხოლოდ რეპროდუქციული დანიშნულება აქვთ.

მდედრი მწარმოებლები / მამრი მწარმოებლები - სადედე ჯოგის / მამრ მწარმოებელთა ჯგუფის შემადგენელი თევზები.

სარემონტო ჯგუფი - სქესობრივად მომწიფებული ან ჯერ კიდევ მოუმწიფებელი თევზების (მდედრების და მამრების) სპეციალურად გამოყოფილი ჯგუფი, რომლის შემადგენლების დანიშნულებაცაა საჭიროების შემთხვევაში მდედრი და მამრი მწარმოებლების ჩანაცვლება.

სარემონტო თევზები - სარემონტო ჯგუფის შემადგენელი თევზები.

ხიზილალა - თევზის ქვირითის გარკვეული დამუშავებით მიღებული საკვები პროდუქტი.

კომბინირებული საკვები - ბურღულის, გრანულის ან ფანტელის სახის საკვები (თევზისათვის), რომელიც მზადდება ქარხნულად და რომლის შემადგენლობა და ფორმა განსაზღვრულია საკვების მიმღების თევზის სახეობითა და ასაკით.

სასუქი - ნივთიერება, რომელიც გამოიყენება ნიადაგის თვისებების და მცენარეთა კვების გასაუმჯობესებლად, მოსავლის გაზრდის მიზნით. აკვაკულტურისათვის განკუთვნილი

წყალსატევებში სასუქი შესაძლოა გამოიყენებოდეს გრუნტის გასაფხვიერებლად, წყალსატევში პლანქტონის (წყლის ორგანიზმი, რომელთა გადაადგილება ხდება პასიურად, წყლის დინებით და რომლითაც იკვებებიან თევზები) გასამრავლებლად, თევზების გარკვეული დაავადებების პროფილაქტიკისათვის და ა.შ.

ორგანული სასუქი - ცხოველური ან მცენარეული წარმოშობის სასუქი (მაგ: ნაკელი, ნეშომპალა, ქათმის წურწუმა, კომპოსტი და ა.შ.).

მინერალური სასუქი - ქიმიური რეაქციის შედეგად მიღებული სასუქი.

პესტიციდი - ქიმიური ნივთიერება, რომელსაც იყენებენ მცენარეთა დასაცავად სარეველებისგან, მავნე მწერებისგან, მღრნელებისგან, სოკოვანი დაავადებებისგან, ბაქტერიებისგან და ა.შ. აგრეთვე, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას აკვაკულტურისათვის განკუთვნილ წყალსატევებში წყალმცენარეებთან საბრძოლველად დაჭაობების თავიდან აცილების მიზნით.

იქთიოპათოლოგი - თევზის დაავადებების სპეციალისტი.

გამოკვლევის შესახებ

გამოკვლევის მიზანი

გამოკვლევის მიზანია საქართველოში აკვაკულტურის შესახებ ოფიციალური სტატისტიკის წარმოება. გამოკვლევის შედეგად მიიღება ინფორმაცია აკვაკულტურის მეურნეობების და მისი მახასიათებლების შესახებ, მათ შორის:

- აკვაკულტურის მეურნეობების სარგებლობაში არსებული წყალსატევები;
- ნედლი თევზის წარმოება, თევზის რეალიზაცია და დანაკარგები; წყლის სხვა ორგანიზმების წარმოება;
- წყლის ორგანიზმების კვება;
- აკვაკულტურისათვის განკუთვნილ წყალსატევებში შეტანილი სასუქები და პესტიციდები;
- აკვაკულტურის მეურნეობებში გამოყენებული ტექნიკა;
- დასაქმება აკვაკულტურის მეურნეობებში;
- აკვაკულტურის მეურნეობების დანახარჯები.

გამოკვლევის ობიექტი

აკვაკულტურის მეურნეობების გამოკვლევის ერთეულია ყველა შინამეურნეობა და იურიდიული პირი, რომელსაც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სარგებლობაში ჰქონდა აკვაკულტურისათვის განკუთვნილი წყალსატევი (იმისგან დამოუკიდებლად, კვლავ აქვს თუ არა სარგებლობაში პერიოდის ბოლოსათვის). გამოკვლევაში მონაწილე აკვაკულტურის მეურნეობების სიის ფორმირება ხორციელდება სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მათ შორის: სასოფლო-სამეურნეო აღწერა, ბიზნეს რეგისტრი და სხვა. გამოკვლევაში მონაწილე მეურნეობების სიის განახლება ხორციელდება ყოველწლიურად.

გამოკვლევის მეთოდი და ინსტრუმენტარი

გამოსაკვლევი მეურნეობებიდან ინფორმაცია მიიღება ინტერვიუერის მიერ რესპონდენტის პირისპირ გამოკითხვის გზით. გამოკითხვა ხორციელდება ანდროიდ ტაბლეტების მეშვეობით.

საანგარიშო პერიოდი და გამოკვლევის პერიოდულობა

აკვაკულტურის მეურნეობებში, მათი საქმიანობის შესახებ, ინფორმაცია გროვდება წელიწადში ერთხელ ერთი კალენდარული წლისათვის.

საველე პერსონალი

საველე სამუშაოებს ახორციელებენ ინტერვიუერები, რომლებმაც დადგენილ ვადებში უნდა მოახდინონ გამოსაკითხი მეურნეობების იდენტიფიცირება და ინტერვიუს ჩატარება. კოორდინატორები უზრუნველყოფენ საველე სამუშაოების კოორდინაციას და შევსებული კითხვარების პირველად ლოგიკურ კონტროლს.

კითხვარის შევსების ინსტრუქცია

აკვაკულტურის მეურნეობების გამოკვლევის კითხვარი ინტერაქტიულია და შეკითხვების ფორმულირება და მიმდევრობა იცვლება წინა შეკითხვებზე გაცემული პასუხების შესაბამისად.

მეურნეობის იდენტიფიკაცია

ინტერვიუერმა უნდა მოახდინოს მეურნეობის იდენტიფიკაცია რესპონდენტისაგან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

მეურნეობის შესახებ ინფორმაციის მისაღებად, ინტერვიუერმა უნდა მოიძიოს ინფორმირებული პირი - რესპონდენტი. რესპონდენტები ჯგუფდებიან ოთხ კატეგორიად:

პირველი კატეგორიის რესპონდენტია - **მეურნე** (შინამეურნეობის შემთხვევაში) ან **საწარმოს ხელმძღვანელი** (იურიდიული პირის შემთხვევაში);

მეორე კატეგორიის რესპონდენტია - **მეურნის ოჯახის წევრი** (შინამეურნეობის შემთხვევაში) ან **მეურნეობაში მომუშავე**;

მესამე კატეგორიის რესპონდენტია - **სხვა ინფორმირებული პირი (მეზობელი, ნათესავი და ა.შ.)**;

მეოთხე კატეგორიის რესპონდენტია - **ოფიციალური პირი** (სოფლის გამგებელი, რწმუნებული, ამხანაგობის თავმჯდომარე და ა.შ.).

კატეგორიები დალაგებულია პრიორიტეტულობის მიხედვით: ინტერვიუერი პირველ რიგში იწყებს პირველი კატეგორიის რესპონდენტის მოძიებას და ყოველი შემდგომი კატეგორიის რესპონდენტის ძიებაზე გადადის ორ შემთხვევაში: 1) თუ წინა კატეგორიის რესპონდენტთან ვერ შედგა ფიზიკური შეხვედრა და 2) თუ წინა კატეგორიის რესპონდენტმა უარი განაცხადა ინფორმაციის მოწოდებაზე.

თუ ინტერვიუერი ინფორმაციას იღებს პირველი ან მეორე კატეგორიის რესპონდენტებისაგან, კითხვარი ივსება სრულად. მესამე და მეოთხე კატეგორიის რესპონდენტებისგან მიღებული ინფორმაციით კი ინტერვიუერი ავსებს მხოლოდ კითხვარის საიდენტიფიკაციო ნაწილს.

0.1.1 მეურნე / საწარმოს ხელმძღვანელი

თუ ინტერვიუერმა მოიძია მეურნე/საწარმოს ხელმძღვანელი, რომელიც თანახმაა ინფორმაციის მოწოდებაზე, უნდა მოინიშნოს პასუხი **გამოიკითხა**, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ინტერვიუერის მიერ მეურნის/საწარმოს ხელმძღვანელის მოძიება ვერ მოხერხდა, ან მოხერხდა, მაგრამ მეურნემ/საწარმოს ხელმძღვანელმა ინფორმაციის მოწოდებაზე უარი

განაცხადა, მაშინ შესაბამისად უნდა მონიშნოს პასუხი ვერ მოიძებნა ან ინფორმაციის მოწოდებაზე უარი განაცხადა.

0.1.2 მეურნის ოჯახის წევრი ან მეურნეობაში მომუშავე

თუ მეურნე/საწარმოს ხელმძღვანელი ვერ მოიძებნა ან მეურნემ/საწარმოს ხელმძღვანელმა ინფორმაციის მოწოდებაზე უარი განაცხადა, ინტერვიუერი განაგრძობს „რესპონდენტის ძიებას“ და ინფორმაციის მიღებას ცდილობს მეურნის ოჯახის წევრისაგან ან მეურნეობაში მომუშავესაგან, ამგვარად 0.1.2 კითხვას პასუხი უნდა გაეცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ 0.1.1 კითხვაზე მონიშნულია პასუხი ვერ მოიძებნა ან ინფორმაციის მოწოდებაზე უარი განაცხადა. 0.1.2 კითხვაზე პასუხის გაცემა ხდება 0.1.1 კითხვის ანალოგიურად: იმ შემთხვევაში, თუ ინტერვიუერმა მოიძია მეურნის ოჯახის წევრი ან მეურნეობაში მომუშავე, რომელიც თანახმაა ინფორმაციის მოცემაზე, უნდა მონიშნოს პასუხი გამოიკითხა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ინტერვიუერის მიერ მეურნის ნათესავის ან მეურნეობაში მომუშავე პირის მოძიება ვერ მოხერხდა, ან მოხერხდა, მაგრამ მოძიებულმა პირმა ინფორმაციის მოწოდებაზე უარი განაცხადა, მაშინ შესაბამისად უნდა მონიშნოს პასუხი ვერ მოიძებნა ან ინფორმაციის მოწოდებაზე უარი განაცხადა.

0.1.3 სხვა ინფორმირებული პირი (მეზობელი, ნათესავი და ა.შ.)

თუ მეურნის ოჯახის წევრი ან მეურნეობაში მომუშავე ვერ მოიძებნა ან მეურნის ოჯახის წევრმა ან მეურნეობაში მომუშავემ ინფორმაციის მოწოდებაზე უარი განაცხადა, ინტერვიუერი განაგრძობს „რესპონდენტის ძიებას“ და ინფორმაციის მიღებას ცდილობს სხვა ინფორმირებული პირისგან (მეზობელი, ნათესავი და ა.შ.), ამგვარად 0.1.3 კითხვას პასუხი უნდა გაეცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ 0.1.2 კითხვაზე მონიშნულია პასუხი ვერ მოიძებნა ან ინფორმაციის მოწოდებაზე უარი განაცხადა. 0.1.3 კითხვაზე პასუხის გაცემა ხდება 0.1.1. და 0.1.2 კითხვების ანალოგიურად: იმ შემთხვევაში, თუ ინტერვიუერმა მოიძია სხვა ინფორმირებული პირი, რომელიც თანახმაა ინფორმაციის მოცემაზე, უნდა მონიშნოს პასუხი გამოიკითხა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ინტერვიუერის მიერ სხვა ინფორმირებული პირის მოძიება ვერ მოხერხდა, ან მოხერხდა, მაგრამ მოძიებულმა პირმა ინფორმაციის მოცემაზე უარი განაცხადა, მაშინ შესაბამისად უნდა მონიშნოს პასუხი ვერ მოიძებნა ან ინფორმაციის მოწოდებაზე უარი განაცხადა.

გასათვალისწინებელია, რომ ინტერვიუერი ეძებს ინფორმირებულ პირს (ინფორმირებულ მეზობელს, ინფორმირებულ ნათესავს და ა.შ.). თუ ინტერვიუერმა მოიძია მეურნის მეზობელი ან ნათესავი, რომელიც არ ფლობს ინფორმაციას მეურნეობის შესახებ, უნდა მონიშნოს პასუხი ვერ მოიძებნა (რაც ნიშნავს: ინფორმირებული მეზობელი და ნათესავი ვერ მოიძებნა).

0.1.4 ოფიციალური პირი

თუ სხვა ინფორმირებული პირი (მეზობელი, ნათესავი და ა.შ.) ვერ მოიძებნა ან სხვა ინფორმირებულმა პირმა (მეზობელმა, ნათესავმა და ა.შ.) ინფორმაციის მოწოდებაზე უარი განაცხადა, ინტერვიუერი განაგრძობს „რესპონდენტის ძიებას“ და ის ინფორმაციის მიღებას ცდილობს **ოფიციალური პირისგან** (სოფლის გამგებლისგან, რწმუნებულისგან, ამხანაგობის თავმჯდომარისგან და ა.შ.), ამგვარად 0.1.4 კითხვას პასუხი უნდა გაეცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ 0.1.3 კითხვაზე მონიშნულია პასუხი **ვერ მოიძებნა ან ინფორმაციის მოწოდებაზე უარი განაცხადა**. 0.1.4 კითხვაზე პასუხის გაცემა ხდება 0.1.1. და 0.1.2 და 0.1.3 კითხვების ანალოგიურად: თუ ინტერვიუერმა მოიძია ოფიციალური პირი, რომელიც თანახმაა ინფორმაციის მოცემაზე, უნდა მოინიშნოს პასუხი **გამოიკითხა**, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ინტერვიუერის მიერ ოფიციალური პირის მოძიება ვერ მოხერხდა, ან მოხერხდა, მაგრამ მოძიებულმა პირმა ინფორმაციის მოცემაზე უარი განაცხადა, მაშინ შესაბამისად უნდა მოინიშნოს პასუხი **ვერ მოიძებნა ან ინფორმაციის მოწოდებაზე უარი განაცხადა**.

გასათვალისწინებელია, რომ ინტერვიუერი ეძებს ინფორმირებულ ოფიციალურ პირს. თუ ინტერვიუერმა მოიძია ოფიციალური პირი, რომელიც არ ფლობს ინფორმაციას მეურნეობის შესახებ, უნდა მოინიშნოს პასუხი **ვერ მოიძებნა** (რაც ნიშნავს: ინფორმირებული ოფიციალური პირი ვერ მოიძებნა).

თუ 0.1.1-0.1.4 კითხვებიდან ერთ-ერთს გაცემული აქვს პასუხი **გამოიკითხა**, პასუხი უნდა გაეცეს 0.2-0.5 კითხვებს:

0.2 რესპონდენტის სახელი და გვარი

უნდა ჩაიწეროს რესპონდენტის სახელი და გვარი (ანუ იმ პირის სახელი და გვარი, რომლისთვისაც 0.1.1-0.1.4 კითხვებიდან ერთ-ერთზე მოინიშნა პასუხი **გამოიკითხა**).

0.3 რესპონდენტის ტელეფონის ნომერი

უნდა ჩაიწეროს რესპონდენტის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი (მობილურის, სახლის ან ოფისის ტელეფონის ნომერი). საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ერთზე მეტი საკონტაქტო ნომრის ჩაწერა. თითოეული საკონტაქტო ნომერი უნდა ჩაიწეროს ცალკე ველში.

0.4 ჰქონდა თუ არა მეურნეობას სარგებლობაში წყალსატევი აკვაკულტურისათვის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში?

უნდა მონიშნოს პასუხი **დიახ**, თუ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მეურნეობის თუნდაც ერთ წყალსატევეში მიმდინარეობდა თევზის ან წყლის რომელიმე სხვა ორგანიზმის მოშენება, იმისგან დამოუკიდებლად, კვლავ მიმდინარეობს თუ არა წყალსატევე(ებ)ში წყლის ორგანიზმების მოშენება საანგარიშო პერიოდის ბოლოს. წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა მონიშნოს პასუხი **არა**.

იმ შემთხვევაში, თუ 0.4 კითხვაზე პასუხია **არა**, ინტერვიუ სრულდება.

0.5 ჰქონდა თუ არა მეურნეობას სარგებლობაში წყალსატევი აკვაკულტურისათვის საანგარიშო პერიოდის ბოლოს?

უნდა მონიშნოს პასუხი **დიახ**, შემდეგ ორ შემთხვევაში:

1) მეურნეობას საანგარიშო პერიოდის ბოლოს სარგებლობაში აქვს წყალსატევე(ებ)ი და ამ წყალსატევე(ებ)ში არის მეურნეობაში მოშენებული ნებისმიერი სახეობის, განვითარების ნებისმიერ სტადიაზე მყოფი თევზი ან წყლის სხვა ორგანიზმი;

2) მეურნეობას საანგარიშო პერიოდის ბოლოს სარგებლობაში აქვს წყალსატევე(ებ)ი, რომელშიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა აკვაკულტურა, მაგრამ შემთხვევითობის, წყლის ზოგიერთი ორგანიზმის მოშენების სპეფიცის ან რაიმე სხვა მიზეზის გამო, საანგარიშო პერიოდის ბოლოს, წყალსატევე(ებ)ში აღარ არის მეურნეობაში მოშენებული წყლის ორგანიზმები, თუმცა მეურნე თვლის, რომ მის მეურნეობას სარგებლობაში აქვს წყალსატევე(ებ)ი აკვაკულტურისათვის, რადგან უახლოეს მომავალში აპირებს წყლის ორგანიზმების გამოზრდას მეურნეობის წყალსატევე(ებ)ში.

უნდა მონიშნოს პასუხი **არა**, შემდეგ ორ შემთხვევაში:

1) მეურნეობას საანგარიშო პერიოდის ბოლოს სარგებლობაში აღარ აქვს წყალსატევე(ებ)ი, რომელშიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა აკვაკულტურა (გაიყიდა, გასხვისდა და ა.შ.);

2) მეურნეობას საანგარიშო პერიოდის ბოლოს სარგებლობაში აქვს წყალსატევე(ებ)ი, რომელშიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა აკვაკულტურა, მაგრამ წყალსატევემა შეიცვალა დანიშნულება და საანგარიშო პერიოდის ბოლოს აღარ წარმოადგენს აკვაკულტურისათვის განკუთვნილს.

თუ 0.1.1 ან 0.1.2 კითხვაზე მონიშნულია პასუხი **გამოიკითხა**, კითხვარის შევსება გრძელდება, ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ 0.1.3 ან 0.1.4 კითხვაზე მონიშნულია პასუხი **გამოიკითხა**, კითხვარის შევსება აქ სრულდება.

ნაწილი 1. ზოგადი ინფორმაცია

მოცემულ ნაწილში აღიწერება ზოგადი ინფორმაცია მეურნისა და მეურნეობის შესახებ.

1.1 ცვლილება მეურნეობაში

შეიცვალა მეურნე - უნდა მოინიშნოს პასუხი **დიახ**, თუ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ადგილი ჰქონდა შემდეგი ორი შემთხვევიდან ერთ-ერთს:

1) მეურნეობის ხელმძღვანელი რაიმე მიზეზით გახდა სხვა პირი (შინამეურნეობის შემთხვევაში) ან სხვა საწარმო (იურიდიული პირის შემთხვევაში);

2) მეურნეობამ შეიცვალა იურიდიული სტატუსი (მაგალითად, შინამეურნეობა გახდა იურიდიული პირი ან იურიდიულმა პირმა შეიცვალა სამართლებრივი ფორმა) ან იურიდიულმა პირმა საიდენტიფიკაციო კოდი.

წინააღმდეგ შემთხვევაში, უნდა მოინიშნოს პასუხი **არა**.

შეიცვალა მეურნის მისამართი - უნდა მოინიშნოს პასუხი **დიახ**, თუ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შეიცვალა მეურნის ფაქტობრივი მისამართი (შინამეურნეობის შემთხვევაში) ან ოფისის მისამართი (საწარმოს შემთხვევაში). წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა მოინიშნოს პასუხი **არა**.

1.2 მეურნის იურიდიული სტატუსი

ჩამოთვლილი იურიდიული სტატუსებიდან უნდა აირჩეს აკვაკულტურის მეურნეობის იურიდიული სტატუსი საანგარიშო პერიოდის ბოლო მდგომარეობით.

თუ აკვაკულტურის მეურნეობა აღარ არსებობს (ანუ პერიოდის ბოლოს მეურნეობას სარგებლობაში აღარ აქვს წყალსატევ(ებ)ი აკვაკულტურისათვის, რაც თავის მხრივ ნიშნავს იმას, რომ 0.5 კითხვაზე გაცემულია პასუხი **არა**), მაშინ უნდა აირჩეს ის იურიდიული სტატუსი, რომელიც წარმოადგენდა აკვაკულტურის მეურნეობის იურიდიულ სტატუსს მისი არსებობის ბოლო მდგომარეობით.

1.2.1 საწარმოს დასახელება

კითხვას პასუხი უნდა გაეცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოსაკითხი მეურნეობა იურიდიული პირია და უნდა ჩაიწეროს საწარმოს დასახელება.

1.2.2 საწარმოს საიდენტიფიკაციო კოდი

კითხვას პასუხი უნდა გაეცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოსაკითხი მეურნეობა იურიდიული პირია და უნდა ჩაიწეროს იურიდიული პირის გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი.

1.3 მეურნის / საწარმოს ხელმძღვანელის სახელი და გვარი

თუ გამოსაკითხი მეურნეობა შინამეურნეობაა, კითხვა ფორმულირდება შემდეგნაირად: 1.3 მეურნის სახელი და გვარი; ხოლო თუ გამოსაკითხი მეურნეობა იურიდიული პირია, მაშინ შემდეგნაირად: 1.3 საწარმოს ხელმძღვანელის სახელი და გვარი.

შინამეურნეობის შემთხვევაში უნდა ჩაიწეროს მეურნის, ხოლო საწარმოს შემთხვევაში - საწარმოს ხელმძღვანელის (დირექტორი, მენეჯერი და ა.შ.) სახელი და გვარი.

თუ მეურნეობას ხელმძღვანელობს ერთზე მეტი პირი, უნდა აირჩეს ერთ-ერთი და ჩაიწეროს მისი სახელი და გვარი. შემდგომი მონაცემები უნდა შეივსოს ამ პირისათვის.

თუ აკვაკულტურის მეურნეობა აღარ არსებობს (ანუ პერიოდის ბოლოს მეურნეობას სარგებლობაში აღარ აქვს წყალსატევები აკვაკულტურისათვის, რაც თავის მხრივ ნიშნავს იმას, რომ 0.5 კითხვაზე გაცემულია პასუხი არა), მაშინ უნდა ჩაიწეროს იმ პირის სახელი და გვარი, რომელიც წარმოადგენდა მეურნეს ან საწარმოს ხელმძღვანელს აკვაკულტურის მეურნეობის არსებობის ბოლო მდგომარეობით.

1.4 მეურნის / საწარმოს ხელმძღვანელის სქესი

თუ გამოსაკითხი მეურნეობა შინამეურნეობაა, კითხვა ფორმულირდება შემდეგნაირად: 1.4 მეურნის სქესი; ხოლო თუ გამოსაკითხი მეურნეობა იურიდიული პირია, მაშინ შემდეგნაირად: 1.4 საწარმოს ხელმძღვანელის სქესი.

შინამეურნეობის შემთხვევაში უნდა მოინიშნოს მეურნის, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში საწარმოს ხელმძღვანელის სქესი.

1.5 მეურნის / საწარმოს ხელმძღვანელის ასაკი

თუ გამოსაკითხი მეურნეობა შინამეურნეობაა, კითხვა ფორმულირდება შემდეგნაირად: 1.5 მეურნის ასაკი; ხოლო თუ გამოსაკითხი მეურნეობა იურიდიული პირია, მაშინ შემდეგნაირად: 1.5 საწარმოს ხელმძღვანელის ასაკი.

შინამეურნეობის შემთხვევაში უნდა ჩაიწეროს მეურნის, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში საწარმოს ხელმძღვანელის ასაკი.

1.6 მეურნის საცხოვრებლის მისამართი / საწარმოს ოფისის მისამართი

მოცემული სათაურის ქვეშ ერთიანდება 1.6.1-1.6.5 კითხვები, რომლითაც დგინდება მეურნის საცხოვრებელი (შინამეურნეობის შემთხვევაში) ან საწარმოს ოფისის ფაქტიური მისამართი (იურიდიული პირის შემთხვევაში).

თუ გამოსაკითხი მეურნეობა შინამეურნეობაა, სათაური ფორმულირდება შემდეგნაირად: 1.6 მეურნის საცხოვრებელი მისამართი; ხოლო თუ გამოსაკითხი მეურნეობა იურიდიული პირია, მაშინ შემდეგნაირად: 1.6 საწარმოს ოფისის მისამართი.

1.6.1 რეგიონი

უნდა აირჩეს საქართველოს ის რეგიონი, სადაც მდებარეობს მეურნის საცხოვრებელი ან საწარმოს ოფისი.

1.6.2 მუნიციპალიტეტი/თვითმმართველი ქალაქი/ქ. თბილისის რაიონი

თუ 1.6.1 კითხვაში არჩეულია ქ. თბილისი, მაშინ კითხვა ფორმულირდება შემდეგნაირად: 1.6.2 ქ.თბილისის რაიონი. ყველა სხვა შემთხვევაში კი შემდეგნაირად: 1.6.2 მუნიციპალიტეტი/თვითმმართველი ქალაქი.

ქ.თბილისის შემთხვევაში უნდა აირჩეს ქ.თბილისის რაიონი, ხოლო სხვა შემთხვევაში, რეგიონის ის მუნიციპალიტეტი ან თვითმმართველი ქალაქი, სადაც მდებარეობს მეურნის საცხოვრებელი ან საწარმოს ოფისი.

1.6.3 თემი/ქალაქი/დაბა

თუ 1.6.2 კითხვაში არჩეულია მუნიციპალიტეტი, მაშინ კითხვა ფორმულირდება შემდეგნაირად: 1.6.3 თემი/ქალაქი/დაბა. თუ არჩეულია თვითმმართველი ქალაქი, მაშინ 1.6.3 კითხვა არ ივსება. ხოლო თუ არჩეულია ქ. თბილისის რაიონი, მაშინ კითხვა ფორმულირდება შემდეგნაირად: 1.6.3 დაბა.

უნდა აირჩეს ის თემი, ქალაქი ან დაბა, სადაც მდებარეობს მეურნის საცხოვრებელი ან საწარმოს ოფისი.

1.6.4 სოფელი

უნდა აირჩეს ის სოფელი, სადაც მდებარეობს მეურნის საცხოვრებელი ან საწარმოს ოფისი.

1.6.5 მისამართი

უნდა ჩაიწეროს მეურნის საცხოვრებლის ან საწარმოს ოფისის მისამართი: ქუჩა, მ/რ, კვარტალი, კორპუსი, ბინის ნომერი.

1.7 მეურნის / საწარმოს ხელმძღვანელის ტელეფონის ნომერი

თუ გამოსაკითხი მეურნეობა შინამეურნეობაა, კითხვა ფორმულირდება შემდეგნაირად: 1.7 მეურნის ტელეფონის ნომერი; ხოლო თუ გამოსაკითხი მეურნეობა იურიდიული პირია, მაშინ შემდეგნაირად: 1.7 საწარმოს ხელმძღვანელის ტელეფონის ნომერი.

უნდა ჩაიწეროს მეურნის ან საწარმოს ხელმძღვანელის საკონტაქტო ნომერი. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ერთზე მეტი ნომრის ჩაწერა. თითოეული ნომერი უნდა ჩაიწეროს ცალკე ველში.

1.8 მეურნის / საწარმოს ხელმძღვანელის ელექტრონული ფოსტა

თუ გამოსაკითხი მეურნეობა შინამეურნეობაა, კითხვა ფორმულირდება შემდეგნაირად: 1.8 მეურნის ელექტრონული ფოსტა; ხოლო თუ გამოსაკითხი მეურნეობა იურიდიული პირია, მაშინ შემდეგნაირად: 1.8 საწარმოს ხელმძღვანელის ელექტრონული ფოსტა.

შინამეურნეობის შემთხვევაში უნდა ჩაიწეროს მეურნის, ხოლო საწარმოს შემთხვევაში საწარმოს ხელმძღვანელის ან ადმინისტრაციული ელექტრონული ფოსტა. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ერთზე მეტი ელექტრონული ფოსტის ჩაწერა.

1.9 რამდენი წელი ეწევა მეურნე / საწარმო აკვაკულტურას?

თუ გამოსაკითხი მეურნეობა შინამეურნეობაა, კითხვა ფორმულირდება შემდეგნაირად: 1.9 რამდენი წელია ეწევა მეურნე აკვაკულტურას?; ხოლო თუ გამოსაკითხი მეურნეობა იურიდიული პირია, მაშინ შემდეგნაირად: 1.9 რამდენი წელია ეწევა საწარმო აკვაკულტურას?

შინამეურნეობისათვის:

უნდა ჩაიწეროს რამდენი წელი ეწევა მეურნე აკვაკულტურას **საკუთარ** შინამეურნეობაში. არ უნდა ჩაითვალოს ის წელი/წლები, რომლის განმავლობაშიც მეურნეს **საკუთარ** შინამეურნეობაში შეწყვეტილი ჰქონდა აკვაკულტურა.

მაგალითი: 2004-2005 წლებში მეურნე ეწეოდა აკვაკულტურას საკუთარ შინამეურნეობაში, 2006-2015 წლებში კი შეწყვეტილი ჰქონდა ეს საქმიანობა; ამასთან 2006-2010 წლებში ჩათვლით იგი გარკვეულ სამუშაოს ასრულებდა სხვა აკვაკულტურის მეურნეობაში. 2016 და 2017 წლებში

მეურნემ განაახლა აკვაკულტურა თავის შინამეურნეობაში. ამ მაგალითის პირობებში, კითხვის პასუხად უნდა ჩაიწეროს: **4** (2004, 2005, 2016 და 2017 წლები).

იურიდიული პირებისათვის:

უნდა ჩაიწეროს რამდენი წელი მიმდინარეობდა საწარმოში აკვაკულტურა. არ უნდა ჩათვალოს ის წელი/წლები, რომლის განმავლობაშიც შესაძლოა საწარმო ფუნქციონირებდა, მაგრამ არ მიმდინარეობდა აკვაკულტურა.

მაგალითი: ვთქვათ, 2010-2012 წლებში საწარმოს საქმიანობას წარმოადგენდა პირუტყვის მოშენება. 2013 წლიდან კი პარალელურად დაიწყო თევზის მოშენება და 2013-2014 წლებში ეწეოდა ერთდროულად თევზისა და პირუტყვის მოშენებას (აკვაკულტურასა და მესაქონლეობას). 2015 წელს საწარმომ მესაქონლეობა შეწყვიტა და 2015-2017 წლებში ეწეოდა მხოლოდ აკვაკულტურას. ამ მაგალითის პირობებში, კითხვის პასუხად უნდა ჩაიწეროს: **5** (2013, 2014, 2015, 2016 და 2017 წლები).

1.10 რა ტიპის საქმიანობაა აკვაკულტურა მეურნეობისათვის?

უნდა მოინიშნოს პასუხი **ძირითადი საქმიანობა** თუ აკვაკულტურა მეურნეობისათვის ძირითადი საქმიანობაა, ანუ აკვაკულტურის საქმიანობით შექმნილი პროდუქტის დამატებული ღირებულების (სხვაობა გასაყიდ ფასსა და წარმოებაზე გაწეულ დანახარჯებს შორის) წილი საწარმოს მიერ შექმნილ პროდუქტისა და მომსახურების მთლიან დამატებულ ღირებულებაში უდიდესია (აკვაკულტურის საქმიანობით შექმნილი პროდუქტის დამატებული ღირებულება მეტია საწარმოს მიერ შექმნილი ნებისმიერი სხვა პროდუქტისა თუ მომსახურების დამატებულ ღირებულებაზე).

უნდა მოინიშნოს პასუხი **არაძირითადი საქმიანობა** თუ აკვაკულტურა მეურნეობისათვის არაძირითადი საქმიანობაა, ანუ აკვაკულტურა არ არის ძირითადი საქმიანობა (აკვაკულტურის საქმიანობით შექმნილი პროდუქტის დამატებული ღირებულების წილი არ არის უდიდესი საწარმოს მიერ შექმნილი პროდუქტისა და მომსახურების მთლიან დამატებულ ღირებულებაში) და იგი მიმდინარეობს ძირითადი საქმიანობისაგან დამოუკიდებლად.

უნდა მოინიშნოს პასუხი **დამხმარე საქმიანობა** თუ აკვაკულტურა მეურნეობისათვის დამხმარე საქმიანობაა, ანუ აკვაკულტურა არ არის ძირითადი საქმიანობა (აკვაკულტურის საქმიანობით შექმნილი პროდუქტის დამატებული ღირებულების წილი არ არის უდიდესი საწარმოს მიერ შექმნილი პროდუქტისა და მომსახურების მთლიან დამატებულ ღირებულებაში) და ამავდროულად, იგი ძირითად ან რომელიმე არაძირითად საქმიანობას უქმნის ხელშემწყობ პირობებს.

მაგალითი: საწარმოს ძირითადი (ან არაძირითადი) საქმიანობა საკვებით და სასმელით მომსახურება (საწარმოს აქვს რესტორანი), ამავდროულად საწარმოში მიმდინარეობს თევზის მოშენება (რომელიც არ წარმოადგენს ძირითად საქმიანობას) და წარმოებული თევზის რეალიზება ხდება საკუთარ რესტორანში საკვების სახით. ამ შემთხვევაში აკვაკულტურის საქმიანობა მეურნეობისათვის დამხმარე საქმიანობაა.

1.11 მეურნეობის სარგებლობაში არსებული მიწის სრული ფართობი (მ²)

მეურნეობის სარგებლობაში არსებული მიწა წარმოადგენს მეურნეობის საკუთრებაში არსებულსა (რომელშიც არ შედის სხვა პირზე იჯარით გაცემული მიწა) და მეურნეობის მიერ იჯარით აღებული მიწის (რომელშიც არ შედის სხვა პირზე ქვეიჯარით გაცემული მიწა) ერთობლიობას.

უნდა ჩაიწეროს მეურნეობის სარგებლობაში არსებული მიწის სრული ფართობი კვადრატულ მეტრებში საანგარიშო პერიოდის ბოლო მდგომარეობით.

1.12 მათ შორის გამოყენებული აკვაკულტურისათვის (მ²)

უნდა ჩაიწეროს მეურნეობის სარგებლობაში არსებული მიწის იმ ნაწილის ფართობი, რომელიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოყენებულ იქნა აკვაკულტურისათვის. ფართობი უნდა ჩაიწეროს კვადრატულ მეტრებში საანგარიშო პერიოდის ბოლო მდგომარეობით.

აკვაკულტურისათვის გამოყენებული მიწის ფართობი მოიცავს: აკვაკულტურისათვის განკუთვნილი წყალსატევ(ებ)ის ფართობს (დახურული აუზების შემთხვევაში, შენობ(ებ)ის ფართობს, რომელშიც განთავსებულია აუზები); წყლის ორგანიზმების საკვების და აკვაკულტურისათვის განკუთვნილი ტექნიკა-მოწყობილობების შესანახი შენობა-ნაგებობების ფართობს; იმ შენობა-ნაგებობების ფართობს, რომლებშიც საქმიანობენ აკვაკულტურის მეურნეობაში დასაქმებულები; მიწის ფართობს, რომელზე მოყვანილი კულტურებიც განკუთვნილია წყლის ორგანიზმების საკვებად და ა.შ.

1.13 მეურნეობის სარგებლობაში არსებული აკვაკულტურისათვის განკუთვნილი

წყალსატევების სრული ფართობი (მ²)

უნდა ჩაიწეროს სარგებლობაში არსებული აკვაკულტურისათვის განკუთვნილი წყალსატევების ზედაპირის (სარკის) ფართობი კვადრატულ მეტრებში საანგარიშო პერიოდის ბოლო მდგომარეობით.

1.14 მათ შორის იჯარით აღებული წყალსატევების სრული ფართობი (მ²)

უნდა ჩაიწეროს სახელმწიფოსაგან და კერძო პირისაგან იჯარით აღებული (რომელშიც არ შედის სხვა პირზე ქვეიჯარით გაცემული) აკვაკულტურისათვის განკუთვნილი წყალსატევების ზედაპირის (სარკის) ფართობი კვადრატულ მეტრებში საანგარიშო პერიოდის ბოლო მდგომარეობით.

1.15 მათ შორის სახელმწიფოსაგან იჯარით აღებული წყალსატევების ფართობი (მ²)

უნდა ჩაიწეროს სახელმწიფოსაგან იჯარით აღებული (რომელშიც არ შედის სხვა პირზე ქვეიჯარით გაცემული) აკვაკულტურისათვის განკუთვნილი წყალსატევების ზედაპირის (სარკის) ფართობი კვადრატულ მეტრებში საანგარიშო პერიოდის ბოლო მდგომარეობით.

ნაწილი 2. წყალსატევები

მოცემული ნაწილი უნდა შეივსოს ცალ-ცალკე იმ დასახლებებისათვის, სადაც მეურნეობას საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სარგებლობაში ჰქონდა აკვაკულტურისათვის განკუთვნილი წყალსატევ(ებ)ი, იმისგან დამოუკიდებლად, კვლავ აქვს თუ არა მეურნეობას სარგებლობაში ეს წყალსატევები პერიოდის ბოლოს. ამ დასახლებების საიდენტიფიკაციოდ, პირველ რიგში, პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვას:

დასახლებები, სადაც მეურნეობას სარგებლობაში ჰქონდა აკვაკულტურისათვის განკუთვნილი წყალსატევები პერიოდის განმავლობაში

უნდა ჩაიწეროს დასახლებები - სოფელი, დაბა, ქალაქი ან ქ.თბილისის რაიონი, რომლებშიც მეურნეობას სარგებლობაში ჰქონდა აკვაკულტურისათვის განკუთვნილი წყალსატევი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. თითოეული დასახლება უნდა ჩაიწეროს ცალკე ველში.

თითოეული მითითებული დასახლებისათვის შეიქმნება ჩანართი, რომელიც შეიცავს 2.1-2.4 კითხვებს და უნდა შეივსოს შესაბამისი დასახლებისათვის.

2.1 დასახლება

მოცემული სათაურის ქვეშ ერთიანდება 2.1.1-2.1.4 კითხვები, რომლებზეც პასუხი უნდა გაეცეს მოცემული ჩანართის შესაბამისი დასახლებისათვის.

2.1.1 რეგიონი

უნდა აირჩეს მოცემული დასახლების შესაბამისი რეგიონი.

2.1.2 მუნიციპალიტეტი/თვითმმართველი ქალაქი/ქ. თბილისის რაიონი

თუ 2.1.1 კითხვაში არჩეულია **ქ.თბილისი**, მაშინ კითხვა ფორმულირდება შემდეგნაირად: 2.1.2 ქ.თბილისის რაიონი. ყველა სხვა შემთხვევაში კი შემდეგნაირად: 2.1.2 მუნიციპალიტეტი/თვითმმართველი ქალაქი.

უნდა აირჩეს მოცემული დასახლების შესაბამისი მუნიციპალიტეტი ან თვითმმართველი ქალაქი; ქ.თბილისის შემთხვევაში - ქ.თბილისის რაიონი.

2.1.3 თემი/ქალაქი/დაბა

თუ 2.1.2 კითხვაში არჩეულია მუნიციპალიტეტი, მაშინ კითხვა ფორმულირდება შემდეგნაირად: 2.1.3 თემი/ქალაქი/დაბა. თუ არჩეულია თვითმმართველი ქალაქი, მაშინ 2.1.3 კითხვა არ ივსება. ხოლო თუ არჩეულია ქ. თბილისის რაიონი, მაშინ კითხვა ფორმულირდება შემდეგნაირად: 2.1.3 დაბა.

უნდა აირჩეს მოცემული დასახლების შესაბამისი თემი, ქალაქი ან დაბა.

2.1.4 სოფელი

უნდა აირჩეს მოცემული დასახლების შესაბამისი სოფელი.

2.2 აკვაკულტურისათვის განკუთვნილი წყალსატევების ტიპები

აკვაკულტურისათვის განკუთვნილი წყალსატევების ტიპებია: აუზი, ტბორი, ტბა/ტბის ნაწილი, წყალსაცავის ნაწილი, მდინარის ნაწილი და ზღვის ნაწილი.

მოცემულ კითხვაში ჩამოთვლილ წყალსატევების თითოეულ ტიპზე უნდა მოინიშნოს პასუხი **დიახ** ან **არა**.

წყალსატევების ტიპზე უნდა მოინიშნოს პასუხი **დიახ**, თუ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მეურნეობის სარგებლობაში იყო აკვაკულტურისათვის განკუთვნილი ამ ტიპის წყალსატევ(ებ)ი, იმისგან დამოუკიდებლად, ეს წყალსატევ(ებ)ი კვლავ არის თუ არა მეურნეობის სარგებლობაში ან კვლავ წარმოადგენს თუ არა აკვაკულტურისათვის განკუთვნილს საანგარიშო პერიოდის ბოლოს; წინააღმდეგ შემთხვევაში წყალსატევების ტიპზე უნდა მოინიშნოს პასუხი **არა**.

წყალსატევის თითოეულ ტიპისათვის, რომელზეც მონიშნულია პასუხი **დიახ**, შეიქმნება ჩანართი.

თითოეული ჩანართი უნდა შეიცავს შესაბამისი ტიპის წყალსატევისათვის. **აუზებისა და ტბორების** შესაბამისი ჩანართი შედგება 2.2.1-2.2.5, ხოლო **ტბა/ტბის ნაწილის, წყალსაცავის ნაწილის, მდინარის ნაწილისა და ზღვის ნაწილის** შესაბამისი ჩანართი 2.2.1-2.2.3 კითხვებისაგან.

2.2.1 გაქვთ თუ არა სარგებლობაში <წყალსატევი> პერიოდის ბოლოს?

კითხვა ფორმულირდება წყალსატევის ტიპის შესაბამისად. მაგალითად, აუზის შემთხვევაში, კითხვას ექნება შემდეგი ფორმა: 2.2.1 გაქვთ თუ არა სარგებლობაში აუზი პერიოდის ბოლოს?

უნდა მოინიშნოს პასუხი **დიახ**, თუ საანგარიშო პერიოდის ბოლოს მოცემულ დასახლებაში მეურნეობას კვლავ აქვს სარგებლობაში მოცემული ტიპის აკვაკულტურისათვის განკუთვნილი ერთი წყალსატევი მაინც; წინააღმდეგ შემთხვევაში მოინიშნება პასუხი **არა**.

თუ 2.2.1 კითხვაზე გაცემულია პასუხი **დიახ**, უნდა შეიცავს 2.2.2-2.2.5 კითხვები, ხოლო თუ გაცემულია პასუხი **არა**, აღნიშნული კითხვები აღარ შეიცვება.

2.2.2 <წყალსატევის> რაოდენობა

კითხვა დაისმება მხოლოდ აუზებისა და ტბორებისათვის და ფორმულირდება წყალსატევის ტიპის შესაბამისად: აუზებისათვის - 2.2.2 აუზების რაოდენობა; ხოლო ტბორებისათვის - 2.2.2 ტბორების რაოდენობა.

უნდა ჩაიწეროს მოცემულ დასახლებაში არსებული იმ აუზების/ტბორების რაოდენობა, რომლებიც საანგარიშო პერიოდის ბოლოს მეურნეობის სარგებლობაშია და წარმოადგენს აკვაკულტურისათვის განკუთვნილს.

2.2.3 <წყალსატევის> სრული ფართობი (მ²)

კითხვა დაისმება ყველა ტიპის წყალსატევისათვის და ფორმულირდება შემდეგნაირად: აუზებისათვის - 2.2.3 აუზების სრული ფართობი; ტბორებისათვის - 2.2.3 ტბორების სრული ფართობი; ყველა სხვა შემთხვევაში - 2.2.2 წყალსატევის სრული ფართობი.

უნდა ჩაიწეროს მოცემულ დასახლებაში არსებული მოცემული ტიპის იმ წყალსატევის სრული ფართობი კვადრატულ მეტრებში, რომლებიც საანგარიშო პერიოდის ბოლოს მეურნეობის სარგებლობაშია და წარმოადგენს აკვაკულტურისათვის განკუთვნილს.

2.2.4 <წყალსატევების> სრული მოცულობა (მ³)

კითხვა დაისმება ყველა ტიპის წყალსატევისათვის და ფორმულირდება შემდეგნაირად: აუზებისათვის - 2.2.4 აუზების სრული მოცულობა; ტბორებისთვის - 2.2.4 ტბორების სრული მოცულობა; ყველა სხვა შემთხვევაში - 2.2.3 წყალსატევების სრული მოცულობა.

უნდა ჩაიწეროს მოცემულ დასახლებაში არსებული მოცემული ტიპის იმ წყალსატევების სრული მოცულობა კუბურ მეტრებში, რომლებიც საანგარიშო პერიოდის ბოლოს მეურნეობის სარგებლობაშია და წარმოადგენს აკვაკულტურისათვის განკუთვნილს.

2.2.5 წყლის მიმოცვლის სისტემა <წყალსატევებში>

კითხვა დაისმება მხოლოდ აუზებისა და ტბორებისათვის და ფორმულირდება წყალსატევის ტიპის შესაბამისად: აუზებისათვის - 2.2.5 წყლის მიმოცვლის სისტემა აუზებში; ხოლო ტბორებისათვის - 2.2.5 წყლის მიმოცვლის სისტემა ტბორებში.

აუზებსა და ტბორებში არსებობს წყლის მიმოცვლის შემდეგი სისტემები: გამდინარე, ჩაკეტილი და გაუმდინარე.

პასუხი **დიახ** უნდა მოინიშნოს წყლის მიმოცვლის იმ სისტემებზე, რომელთა საშუალებითაც ხდება საანგარიშო პერიოდის ბოლოს სარგებლობაში არსებული აუზებისა და ტბორების წყალმომარაგება. წყლის მიმოცვლის იმ სისტემებზე, რომლებზეც არ მოინიშნება პასუხი **დიახ**, უნდა მოინიშნოს პასუხი **არა**.

პასუხი **დიახ** შესაძლებელია მონიშნული იყოს წყლის მიმოცვლის ერთზე მეტ სისტემაზე; პასუხი **არა** არ შეიძლება მონიშნული იყოს წყლის მიმოცვლის სამივე სისტემაზე.

2.3 აუზებში/ტბორებში შემოდინებული წყლის მოცულობა (მ³)

კითხვას პასუხი უნდა გაეცეს, თუ 2.2 კითხვაში წყალსატევის ტიპებზე **აუზი** ან/და **ტბორი** მონიშნულია პასუხი **დიახ**.

კითხვა ფორმულირდება 2.2 კითხვაში მონიშნული პასუხების შესაბამისად: თუ წყალსატევის ტიპზე - **აუზი**, მონიშნულია პასუხი **დიახ** და წყალსატევის ტიპზე - **ტბორი**, მონიშნულია პასუხი **არა**, კითხვას ექნება შემდეგი ფორმა - 2.3 აუზებში შემოდინებული წყლის მოცულობა; თუ წყალსატევის ტიპზე - **აუზი**, მონიშნულია პასუხი **არა** და წყალსატევის ტიპზე - **ტბორი**, მონიშნულია პასუხი **დიახ**, კითხვას ექნება შემდეგი ფორმა - 2.3 ტბორებში შემოდინებული წყლის მოცულობა; თუ წყალსატევის ტიპზე - **აუზი**, მონიშნულია პასუხი **დიახ** და წყალსატევის ტიპზე - **ტბორი**, მონიშნულია პასუხი **დიახ**, კითხვას ექნება შემდეგი ფორმა - 2.3 აუზებსა და ტბორებში შემოდინებული წყლის მოცულობა.

უნდა ჩაიწეროს მოცემული დასახლების აუზებსა და ტბორებში საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შემოდინებული წყლის მოცულობა კუბურ მეტრებში, იმისგან დამოუკიდებლად, საანგარიშო პერიოდის ბოლოს ეს წყალსატევები კვლავ არის თუ არა მეურნეობის სარგებლობაში ან კვლავ წარმოადგენს თუ არა აკვაკულტურისათვის განკუთვნილს.

წყლის მიმოცვლის ჩაკეტილი სისტემის შემთხვევაში, უნდა აღირიცხოს სისტემაში გაშვებული ახალი წყლის მოცულობა: საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ამ ტიპის სისტემაში ცირკულირებს ერთი და იგივე ან ნაწილობრივ განახლებული წყალი; უნდა აღირიცხოს წყლის მოცულობა ცირკულირების გათვალისწინების გარეშე.

წყლის მიმოცვლის გაუმდინარე სისტემის შემთხვევაში, უნდა აღირიცხოს მხოლოდ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში წყალსატევ(ებ)ის თავდაპირველი შევსების ან წყლის განახლების მიზნით შემოდინებული წყლის მოცულობა.

თუ მეურნეობაში არ აღირიცხება შემოდინებული წყალი და რესპონდენტს კითხვაზე პასუხის გაცემა არ შეუძლია, მოცემულ ველში უნდა ჩაიწეროს **99**.

2.4 აუზებში/ტბორებში შემოდინებული წყლის წყარო

კითხვას პასუხი უნდა გაეცეს, თუ 2.2 კითხვაში წყალსატევის ტიპებზე **აუზი** ან/და **ტბორი** მონიშნულია პასუხი **დიახ** და ამავდროულად, 2.3 კითხვის პასუხი არ არის **0**.

კითხვა ფორმულირდება 2.2 კითხვაში მონიშნული პასუხების შესაბამისად: თუ წყალსატევის ტიპზე - **აუზი**, მონიშნულია პასუხი **დიახ** და წყალსატევის ტიპზე - **ტბორი**, მონიშნულია პასუხი **არა**, კითხვას ექნება შემდეგი ფორმა - 2.4 აუზებში შემოდინებული წყლის წყარო; თუ წყალსატევის ტიპზე - **აუზი**, მონიშნულია პასუხი **არა** და წყალსატევის ტიპზე - **ტბორი**, მონიშნულია პასუხი **დიახ**, კითხვას ექნება შემდეგი ფორმა - 2.3 ტბორებში შემოდინებული წყლის წყარო; თუ წყალსატევის ტიპზე - **აუზი**, მონიშნულია პასუხი **დიახ** და წყალსატევის ტიპზე - **ტბორი**, მონიშნულია პასუხი **დიახ**, კითხვას ექნება შემდეგი ფორმა - 2.3 აუზებსა და ტბორებში შემოდინებული წყლის წყარო.

წყალსატევში შემოდინებული წყლის წყაროებია: **ზედაპირული წყლები, მიწისქვეშა წყლები** და **ცენტრალური წყალმომარაგება**.

ზედაპირულ წყლები - უნდა მონიშნოს პასუხი **დიახ**, თუ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოცემული დასახლების აუზებსა და ტბორებში შემოდინებოდა ზედაპირული წყლები (სრულად ან ნაწილობრივ); წინაარმდეგ შემთხვევაში უნდა მონიშნოს პასუხი **არა**;

მიწისქვეშა წყლები - უნდა მონიშნოს პასუხი **დიახ**, თუ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოცემული დასახლების აუზებსა და ტბორებში შემოედინებოდა მიწისქვეშა წყლები (სრულად ან ნაწილობრივ); წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა მონიშნოს პასუხი **არა**.

ცენტრალური წყალმომარაგება - უნდა მონიშნოს პასუხი **დიახ**, თუ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოცემული დასახლების აუზებსა და ტბორებში შემოედინებოდა წყალმომარაგებელი საწარმოების მიერ ცენტრალური სისტემით მიწოდებული წყალი (სრულად ან ნაწილობრივ); წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა მონიშნოს პასუხი **არა**.

პასუხი **დიახ** შესაძლებელია მონიშნული იყოს შემოდინებული წყლის სამივე წყაროზე; ხოლო პასუხი **არა** არ შეიძლება მონიშნული იყოს შემოდინებული წყლის სამივე წყაროზე.

ნაწილი 3. თევზები და წყლის სხვა ორგანიზმები

მოცემულ ნაწილში უნდა აღირიცხოს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მეურნეობაში მოშენებული თევზები სახეობების მიხედვით და წყლის სხვა ორგანიზმები. მოშენებული წყლის ორგანიზმების იდენტიფიცირებისათვის, პირველ რიგში, პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვას:

წყლის ორგანიზმების მოშენება

თევზები - უნდა მონიშნოს პასუხი **დიახ**, თუ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მეურნეობაში მიმდინარეობდა თევზის რომელიმე სახეობის გამოზრდა, ნებისმიერი სტადიიდან ნებისმიერ სტადიამდე; წინააღმდეგ შემთხვევაში, უნდა მონიშნოს პასუხი **არა**.

წყლის სხვა ორგანიზმები - უნდა მონიშნოს პასუხი **დიახ**, თუ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მეურნეობაში მიმდინარეობდა თევზის გარდა წყლის რომელიმე სხვა ორგანიზმის, მაგალითად კიბოსნაირების, მოლუსკების, წყალმცენარეების ან სხვა, მოშენება, ნებისმიერი სტადიიდან ნებისმიერ სტადიამდე; წინააღმდეგ შემთხვევაში, უნდა მონიშნოს პასუხი **არა**.

პასუხი **დიახ** შესაძლებელია მონიშნული იყოს ერთდროულად **თევზებისთვის** და **წყლის სხვა ორგანიზმებისათვის**. პასუხი **არა** არ შეიძლება მონიშნული იყოს ერთდროულად **თევზებისთვის** და **წყლის სხვა ორგანიზმებისათვის**.

თუ კითხვაზე **წყლის ორგანიზმების მოშენება**, **თევზებზე** მონიშნულია პასუხი **დიახ**, პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვას:

პერიოდის განმავლობაში მოშენებული თევზის სახეობები

უნდა მოინიშნოს, თევზის ის სახეობები, რომელთა მოშენება საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა მეურნეობაში, იმისგან დამოუკიდებლად, მოცემული სახეობის თევზის მოშენება კვლავ მიმდინარეობს თუ არა მეურნეობაში საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

თუ მეურნეობაში საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა თევზის ისეთი სახეობის მოშენება, რომელიც არ არის ჩამონათვალში, უნდა მოინიშნოს პასუხი **სხვა** და პასუხი გაეცეს კითხვას:

თევზის სხვა სახეობები

უნდა ჩაიწეროს თევზის ის სახეობები, რომლის მოშენებაც მიმდინარეობდა მეურნეობაში საანგარიშო პერიოდის განმავლობაში და რომელიც არ არის ჩამონათვალში.

თუ კითხვაზე **წყლის ორგანიზმების მოშენება, წყლის სხვა ორგანიზმებზე** მონიშნულია პასუხი **დიახ**, პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვას:

პერიოდის განმავლობაში მოშენებული წყლის სხვა ორგანიზმები

უნდა ჩაიწეროს წყლის სხვა ორგანიზმები (კიბოსნაირები, მოლუსკები, წყალმცენარეები და ა.შ), რომელთა მოშენება მიმდინარეობდა მეურნეობაში საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, იმისგან დამოუკიდებლად, აღნიშნული წყლის ორგანიზმის გამოზრდა კვლავ მიმდინარეობს თუ არა მეურნეობაში საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

მითითებული თევზის თითოეული სახეობისა და წყლის სხვა ორგანიზმებისათვის შეიქმნება ჩანართი, რომელიც, უნდა შეივსოს მხოლოდ ამ სახეობისა თუ წყლის სხვა ორგანიზმისათვის. ამასთან, თითოეული ჩანართი უნდა შეივსოს ყველა დასახლებისათვის **ჯამურად**.

თევზის სახეობების შესაბამისი ჩანართი შედგება 3.1-3.25.1 კითხვებისაგან, ხოლო **წყლის სხვა ორგანიზმების** შესაბამისი ჩანართი კი 3.1-3.3.1 კითხვებისაგან. განვიხილოთ ჩანართის ორივე შემთხვევა:

ჩანართი - თევზის სახეობა

თევზის სახეობის ჩანართის შევსებისას გასათვალისწინებელია: გამოიყოფა თევზის განვითარების ხუთი სტადია - განაყოფიერებული ქვირითი, ლარვა, ლიფსიტა, მოზარდული თევზი და სასაქონლე თევზი. კვლევის ფარგლებში **ლიფსიტობის** სტადია მოიცავს **ლარვობის** სტადიას, ხოლო **სასაქონლე თევზის** სტადია მოიცავს **მოზარდული თევზის** სტადიას.

აგრეთვე, სპეციალურ ჯგუფებში (სადედე ჯოგი, მამრ მწარმოებელთა ჯგუფი და სარემონტო ჯგუფი) არსებული თევზებიც სასაქონლე თევზების ნაწილია.

თევზის სახეობის ჩანართი შედგება შვიდი განყოფილებისგან: ნედლი თევზის წარმოება (3.2-3.7), ქვირითის წარმოება (3.8-3.9), სასაქონლე თევზი წყალსატევებში (3.10-3.14), სასაქონლე თევზის დანაკარგი (3.15-3.15.1), ლიფსიტის გამოზრდა (3.16-3.17), სასაქონლე თევზის გამოზრდა (3.18-3.21) და რეალიზაცია (3.22-3.25.1).

3.1 დასახლებები, სადაც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა <თევზის მოცემული სახეობის> მოშენება

კითხვა ფორმულირდება თევზის მონიშნული/ჩაწერილი სახეობის შესაბამისად. მაგალითად, კობრის მონიშვნის შემთხვევაში, კითხვას ექნება შემდეგი ფორმა: 3.1 დასახლებები, სადაც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა კობრის მოშენება.

კითხვარის მეორე ნაწილში მითითებული დასახლებებიდან უნდა მონიშნოს დასახლებები, სადაც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა მოცემული სახეობის თევზის გამოზრდა, ნებისმიერი სტადიიდან ნებისმიერ სტადიამდე, იმისგან დამოუკიდებლად, დასახლების წყალსატევები კვლავ არის თუ არა მეურნეობის სარგებლობაში საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

ნედლი თევზის წარმოება

3.2 ნედლი თევზის მარაგი პერიოდის დასაწყისში (კგ)

ნედლი თევზის მარაგი წარმოადგენს ჯერ კიდევ ცოცხალ, ცალკე რეზერვუარში არსებულ ან უკვე დასაწყობებულ, გაყინულ ან გაუყინავ თევზს, რომელიც გათვლილია საკვები მიზნით მოხმარებისათვის, გაყიდვისათვის ან გადამუშავებისათვის.

უნდა ჩაიწეროს საანგარიშო პერიოდის დასაწყისში მოცემული სახეობის ნედლი თევზის მარაგის წონა კილოგრამებში.

3.3 მეურნეობაში წარმოებული ნედლი თევზი (კგ)

უნდა ჩაიწეროს საანგარიშო პერიოდში წარმოებული მოცემული სახეობის ნედლი თევზი კილოგრამებში.

3.4 გაყიდული ნედლი თევზი (კგ)

უნდა ჩაიწეროს საანგარიშო პერიოდში საკვებად გაყიდული მოცემული სახეობის ნედლი თევზი კილოგრამებში.

არ უნდა აღირიცხოს გაყიდული მდედრი მწარმოებლები, მამრი მწარმოებლები და სარემონტო თევზები; აგრეთვე შემდგომი გამოზრდის მიზნით გაყიდული თევზი.

3.4.1 ნედლი თევზის გაყიდვიდან მიღებული თანხა (ლარი)

კითხვას პასუხი უნდა გაეცეს, თუ 3.4 კითხვის პასუხი არ არის 0.

უნდა ჩაიწეროს საანგარიშო პერიოდში მოცემული სახეობის ნედლი თევზის გაყიდვიდან მიღებული თანხა ლარებში.

3.5 მეურნეობაში გამოყენებული ნედლი თევზი (კგ)

უნდა ჩაიწეროს საანგარიშო პერიოდში მეურნეობაში საკვებად გამოყენებული, გაჩუქებული და გადამუშავებული (შებოლილი, დაკონსერვებული, დაფქვილი, კერძად მომზადებული და ა.შ.) მოცემული სახეობის ნედლი თევზი კილოგრამებში.

თევზის გადამუშავების შემთხვევაში, უნდა აღირიცხოს გადამუშავებამდელი თევზის და არა გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტის წონა.

არ უნდა აღირიცხოს გაჩუქებული მდედრი მწარმოებლები, მამრი მწარმოებლები და სარემონტო თევზები, აგრეთვე შემდგომი გამოზრდის მიზნით გაჩუქებული თევზი.

3.6 ნედლი თევზის დანაკარგი (კგ)

უნდა ჩაიწეროს საანგარიშო პერიოდში გაფუჭებული ან რაიმე მიზეზით დაკარგული მოცემული სახეობის ნედლი თევზი კილოგრამებში.

არ უნდა აღირიცხოს ნედლი თევზის გადამუშავებით მიღებული პროდუქტის დანაკარგი.

3.7 ნედლი თევზის მარაგი პერიოდის ბოლოს (კგ)

ნედლი თევზის მარაგი წარმოადგენს ჯერ კიდევ ცოცხალ, ცალკე რეზერვუარში არსებულ ან უკვე დასაწყობებულ, გაყინულ ან გაუყინავ თევზს, რომელიც გათვლილია საკვები მიზნით მოხმარებისათვის, გაყიდვისათვის ან გადამუშავებისათვის.

უნდა ჩაიწეროს საანგარიშო პერიოდის ბოლოს მოცემული სახეობის ნედლი თევზის მარაგის წონა კილოგრამებში.

ქვირითის წარმოება

3.8 საამქრო წესით წარმოებული ქვირითი (კგ)

საამქრო წესით წარმოებული ქვირითი მიიღება წყლიდან ამოყვანილი მდედრისგან, ადამიანის უშუალო ჩარევით (თევზის გამოწურვა, გაკვეთა და ა.შ.). მდედრისგან გამოწურული მასა შედგება სასქესო უჯრედებისაგან (ქვირითის მარცვლები) და სითხისაგან. ქვირითის მარცვლების სითხისგან გამოთავისუფლების შემდეგ მიიღება **მშრალი ქვირითი**.

უნდა ჩაიწეროს საანგარიშო პერიოდში მეურნეობაში საამქრო წესით წარმოებული მოცემული სახეობის თევზის ქვირითი (მშრალი ქვირითი) კილოგრამებში.

საამქრო წესით წარმოებული ქვირითის შემდგომი განაყოფიერების შემთხვევაში, უნდა აღირიცხოს ქვირითის წონა განაყოფიერებამდე.

3.9 ხიზილალის წარმოება (კგ)

უნდა ჩაიწეროს მეურნეობაში საამქრო წესით წარმოებული მოცემული სახეობის თევზის ქვირითის გადამუშავების შედეგად საანგარიშო პერიოდში მიღებული ხიზილალა კილოგრამებში, მიუხედავად იმისა, ქვირითი საანგარიშო პერიოდში იქნა მიღებული თუ საანგარიშო პერიოდამდე.

სასაქონლე თევზი წყალსატევებში

3.10 წყალსატევებში არსებული სასაქონლე თევზი პერიოდის დასაწყისში (კგ)

უნდა ჩაიწეროს საანგარიშო პერიოდის დასაწყისში წყალსატევებში არსებული მოცემული სახეობის სასაქონლე თევზი კილოგრამებში.

3.11 წყალსატევებში არსებული სასაქონლე თევზი პერიოდის ბოლოს (კგ)

უნდა ჩაიწეროს საანგარიშო პერიოდის ბოლოს წყალსატევებში არსებული მოცემული სახეობის სასაქონლე თევზი კილოგრამებში.

3.12 სადღედე ჯოგში არსებული თევზების რაოდენობა პერიოდის ბოლოს (ერთეული)

უნდა ჩაიწეროს საანგარიშო პერიოდის ბოლოს მოცემული სახეობის სადღედე ჯოგში მდებარი თევზების რაოდენობა ერთეულებში.

3.13 მამრ მწარმოებელთა ჯგუფში არსებული თევზების რაოდენობა პერიოდის ბოლოს (ერთეული)

უნდა ჩაიწეროს საანგარიშო პერიოდის ბოლოს მოცემული სახეობის მამრ მწარმოებელთა ჯგუფში მამრი თევზების რაოდენობა ერთეულებში.

3.14 სარემონტო ჯგუფში არსებული თევზების რაოდენობა პერიოდის ბოლოს (ერთეული)

უნდა ჩაიწეროს საანგარიშო პერიოდის ბოლოს მოცემული სახეობის სარემონტო ჯგუფში თევზების რაოდენობა ერთეულებში.

სასაქონლე თევზის დანაკარგი

3.15 სასაქონლე თევზის დანაკარგი პერიოდის განმავლობაში (კგ)

უნდა ჩაიწეროს საანგარიშო პერიოდში მოცემული სახეობის სასაქონლე თევზის დანაკარგის წონა კილოგრამებში.

სასაქონლე თევზის დანაკარგი მოიცავს რაიმე დაავადებით, არახელსაყრელი პირობებით (თევზისათვის წყლის შეუსაბამო ტემპერატურა, წყალსატევებში ჟანგბადის ნაკლებობა, წყალსატევის დაბინძურება და ა.შ.) ან შემთხვევითი მიზეზით დაღუპულ სასაქონლე თევზს; აგრეთვე, საამქრო წესით სასქესო უჯრედების (ქვირითი, სპერმა) მიღებისას რეპროდუქტორი თევზების დანაკარგს.

სასაქონლე თევზის დანაკარგი არ მოიცავს ნედლი თევზის დანაკარგს.

3.15.1 მათ შორის დაავადებით გამოწვეული დანაკარგი (კგ)

უნდა ჩაიწეროს საანგარიშო პერიოდში დაავადებით დაღუპული მოცემული სახეობის სასაქონლე თევზი კილოგრამებში.

ლიფსიტის გამოზრდა

3.16 საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ლიფსიტის მისაღებად გამოყენებული საამქრო წესით წარმოებული და შექმნილი ქვითი (კვ)

უნდა ჩაიწეროს მოცემული სახეობის თევზის საამქრო წესით წარმოებული ან შექმნილი ქვითი კილოგრამებში, რომლისგანაც საანგარიშო პერიოდში უნდა მიღებულიყო ლიფსიტა, მიუხედავად იმისა, ქვითი საანგარიშო პერიოდში იქნა წარმოებული/შექმნილი თუ საანგარიშო პერიოდამდე.

უნდა აღირიცხოს განაყოფიერებული ქვითის წონა და არა განაყოფიერებამდელი ქვითის.

არ აღირიცხება საანგარიშო პერიოდში საამქრო წესით წარმოებული/შექმნილი განაყოფიერებული ქვითი, რომლისგანაც ლიფსიტა მიღებულ უნდა იქნეს საანგარიშო პერიოდის შემდგომ.

არ აღირიცხება სხვა მიზნით (მაგალითად, ხიზილალის ან თევზის საკვების დასამზადებლად) წარმოებული/შექმნილი ქვითი.

3.17 საამქრო წესით წარმოებული და შექმნილი ქვითიდან პერიოდის განმავლობაში მიღებული ლიფსიტის რაოდენობა (ერთეული)

კითხვას პასუხი უნდა გაეცეს, თუ 3.16 კითხვის პასუხი არ არის 0.

უნდა ჩაიწეროს 3.16 კითხვაში მითითებული განაყოფიერებული ქვითიდან (საამქრო წესით მიღებული ან შექმნილი ქვითი, რომლიდანაც საანგარიშო პერიოდში უნდა მიღებულიყო ლიფსიტა) ფაქტობრივად მიღებული ლიფსიტის რაოდენობა ერთეულებში.

სასაქონლე თევზის გამოზრდა

3.18 საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სასაქონლე თევზის გამოსაზრდელად გამოყენებული საამქრო წესით წარმოებული და შექმნილი ქვითიდან მიღებული ლიფსიტის რაოდენობა (ერთეული)

უნდა ჩაიწეროს საამქრო წესით წარმოებული ან შექმნილი მოცემული სახეობის ქვითიდან მიღებული ლიფსიტის რაოდენობა ერთეულებში, რომლისგანაც საანგარიშო პერიოდში უნდა გამოზრდილიყო სასაქონლე თევზი, მიუხედავად იმისა, ლიფსიტა საანგარიშო პერიოდში იქნა მიღებული თუ საანგარიშო პერიოდამდე.

არ აღირიცხება საამქრო წესით წარმოებული და შეძენილი ქვირითიდან საანგარიშო პერიოდში მიღებული ლიფსიტა, რომლისგანაც სასაქონლე თევზი უნდა გამოიზარდოს საანგარიშო პერიოდის შემდგომ.

არ აღირიცხება სხვა მიზნით გამოზრდილი ლიფსიტა.

3.19 საამქრო წესით წარმოებული და შეძენილი ქვირითიდან მიღებული ლიფსიტისაგან პერიოდის განმავლობაში გამოზრდილი სასაქონლე თევზის რაოდენობა (ერთეული)

კითხვას პასუხი უნდა გაეცეს, თუ 3.18 კითხვის პასუხი არ არის 0.

უნდა ჩაიწეროს 3.18 კითხვაში მითითებული ლიფსიტისგან (საამქრო წესით წარმოებული ან შეძენილი ქვირითიდან მიღებული ლიფსიტა, რომლიდანაც საანგარიშო პერიოდში უნდა გამოზრდილიყო სასაქონლე თევზი) ფაქტობრივად გამოზრდილი სასაქონლე თევზის რაოდენობა ერთეულებში.

3.20 საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სასაქონლე თევზის გამოსაზრდელად შეძენილი ლიფსიტის რაოდენობა (ერთეული)

უნდა ჩაიწეროს შეძენილი მოცემული სახეობის ლიფსიტის რაოდენობა ერთეულებში, რომლისგანაც საანგარიშო პერიოდში უნდა გამოზრდილიყო სასაქონლე თევზი, მიუხედავად იმისა, ლიფსიტა საანგარიშო პერიოდში იქნა შეძენილი თუ საანგარიშო პერიოდამდე.

არ აღირიცხება საანგარიშო პერიოდში შეძენილი ლიფსიტა, რომლისგანაც სასაქონლე თევზი უნდა გამოიზარდოს საანგარიშო პერიოდის შემდგომ.

არ აღირიცხება სხვა მიზნით შეძენილი ლიფსიტა.

3.21 შეძენილი ლიფსიტისგან პერიოდის განმავლობაში გამოზრდილი სასაქონლე თევზის რაოდენობა (ერთეული)

კითხვას პასუხი უნდა გაეცეს, თუ 3.20 კითხვის პასუხი არ არის 0.

უნდა ჩაიწეროს 3.20 კითხვაში მითითებული ლიფსიტისგან (შეძენილი ლიფსიტა, რომლისგანაც საანგარიშო პერიოდში უნდა გამოზრდილიყო სასაქონლე თევზი) ფაქტობრივად გამოზრდილი სასაქონლე თევზის რაოდენობა ერთეულებში.

რეალიზაცია

3.22 გაყიდული სასაქონლე თევზის რაოდენობა (ერთეული)

უნდა ჩაიწეროს შემდგომი გამოზრდის მიზნით საანგარიშო პერიოდში გაყიდული მოცემული სახეობის სასაქონლე თევზის, გაყიდული მდებარი მწარმოებლების, მამრი მწარმოებლების და სარემონტო თევზების რაოდენობა ერთეულებში.

არ უნდა აღირიცხოს გაყიდული ნედლი თევზი.

3.22.1 სასაქონლე თევზის გაყიდვიდან მიღებული თანხა (ლარი)

კითხვას პასუხი უნდა გაეცეს, თუ 3.22 კითხვის პასუხი არ არის 0.

უნდა ჩაიწეროს საანგარიშო პერიოდში მოცემული სახეობის სასაქონლე თევზის გაყიდვიდან მიღებული თანხა ლარებში.

3.23 გაყიდული საამქრო წესით წარმოებული განაყოფიერებული ქვირითი (კგ)

უნდა ჩაიწეროს საანგარიშო პერიოდში გაყიდული, მეურნეობაში საამქრო წესით წარმოებული, მოცემული სახეობის თევზის განაყოფიერებული ქვირითი კილოგრამებში, მიუხედავად იმისა, ქვირითი საანგარიშო პერიოდში იქნა წარმოებული თუ საანგარიშო პერიოდადამდე.

3.23.1 საამქრო წესით წარმოებული განაყოფიერებული ქვირითის გაყიდვიდან მიღებული თანხა (ლარი)

კითხვას პასუხი უნდა გაეცეს, თუ 3.23 კითხვის პასუხი არ არის 0.

უნდა ჩაიწეროს საანგარიშო პერიოდში მოცემული სახეობის თევზის გაუნაყოფიერებელი ქვირითის გაყიდვიდან მიღებული თანხა ლარებში.

3.24 გაყიდული საამქრო წესით წარმოებული გაუნაყოფიერებელი ქვირითი (კგ)

უნდა ჩაიწეროს საანგარიშო პერიოდში გაყიდული, მეურნეობაში საამქრო წესით წარმოებული, მოცემული სახეობის თევზის გაუნაყოფიერებელი ქვირითი კილოგრამებში, მიუხედავად იმისა, ქვირითი საანგარიშო პერიოდში იქნა წარმოებული თუ საანგარიშო პერიოდადამდე.

3.24.1 საამქრო წესით წარმოებული გაუნაყოფიერებელი ქვირითის გაყიდვიდან მიღებული თანხა (ლარი)

კითხვას პასუხი უნდა გაეცეს, თუ 3.24 კითხვის პასუხი არ არის 0.

უნდა ჩაიწეროს საანგარიშო პერიოდში მოცემული სახეობის თევზის გაუნაყოფიერებელი ქვირითის გაყიდვიდან მიღებული თანხა ლარებში.

3.25 გაყიდული ლიფსიტის რაოდენობა (ერთეული)

უნდა ჩაიწეროს საანგარიშო პერიოდში მოცემული სახეობის გაყიდული ლიფსიტების რაოდენობა ერთეულებში, მიუხედავად იმისა, ლიფსიტა საანგარიშო პერიოდშია მიღებული თუ საანგარიშო პერიოდამდე.

უნდა აღირიცხოს როგორც საამქრო წესით წარმოებული და შექმნილი, აგრეთვე მეურნეობაში არასაამქრო წესით (ბუნებრივად) წარმოებული ქვირითიდან მიღებული ლიფსიტა.

არ უნდა აღირიცხოს შექმნილი და შემდგომ გაყიდული ლიფსიტა (ვაჭრობა).

3.25.1 ლიფსიტის გაყიდვიდან მიღებული თანხა (ლარი)

კითხვას პასუხი უნდა გაეცეს, თუ 3.25 კითხვის პასუხი არ არის 0.

უნდა ჩაიწეროს საანგარიშო პერიოდში მოცემული სახეობის ლიფსიტის გაყიდვიდან მიღებული თანხა ლარებში.

ჩანართი - წყლის სხვა ორგანიზმები

3.1 დასახლებები, სადაც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა <წყლის სხვა ორგანიზმის> მოშენება

კითხვა ფორმულირდება ჩაწერილი წყლის ორგანიზმის შესაბამისად. მაგალითად, თუ შესაბამის ველში ჩაწერილ იქნა **კიბოსნაირები**, კითხვას ექნება შემდეგი ფორმა: 3.1 დასახლებები, სადაც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა კიბორჩხალის მოშენება.

კითხვარის მეორე ნაწილში მითითებული დასახლებებიდან უნდა მოინიშნოს ის დასახლებები, სადაც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა მოცემული წყლის ორგანიზმის გამოზრდა, ნებისმიერი სტადიიდან ნებისმიერ სტადიამდე, იმისგან

დამოუკიდებლად, დასახლების წყალსატევები კვლავ არის თუ არა მეურნეობის სარგებლობაში საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

3.2 <წყლის ორგანიზმის> წარმოება (კგ)

კითხვა ფორმულირდება ჩაწერილი წყლის ორგანიზმის შესაბამისად. მაგალითად, თუ შესაბამის ველში ჩაწერილ იქნა **კიბოსნაირები**, კითხვას ექნება შემდეგი ფორმა: 3.2 კიბოსნაირების წარმოება.

უნდა ჩაიწეროს საანგარიშო პერიოდში საკვებად გაყიდული, მეურნეობაში მოხმარებული, გაჩუქებული და გადამუშავებული, მოცემული წყლის ორგანიზმის წონა კილოგრამებში.

გადამუშავებული წყლის ორგანიზმის შემთხვევაში უნდა აღირიცხოს გადამუშავებამდელი წყლის ორგანიზმის და არა გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტის წონა.

არ უნდა აღირიცხოს შემდგომი გამოზრდის მიზნით გაყიდული ან გაჩუქებული მოცემული წყლის ორგანიზმი.

3.3 გაყიდული <წყლის ორგანიზმი> (კგ)

კითხვა ფორმულირდება ჩაწერილი წყლის ორგანიზმის შესაბამისად. მაგალითად, თუ შესაბამის ველში ჩაწერილ იქნა **კიბოსნაირები**, კითხვას ექნება შემდეგი ფორმა: 3.3 გაყიდული კიბოსნაირები.

უნდა ჩაიწეროს ნებისმიერი მიზნით (საკვებად თუ შემდგომი გამოზრდისათვის) საანგარიშო პერიოდში გაყიდული მოცემული წყლის ორგანიზმის წონა კილოგრამებში.

3.3.1 <წყლის ორგანიზმის> გაყიდვიდან მიღებული თანხა (ლარი)

კითხვა ფორმულირდება ჩაწერილი წყლის ორგანიზმის შესაბამისად. მაგალითად, თუ შესაბამის ველში ჩაწერილ იქნა **კიბოსნაირები**, კითხვას ექნება შემდეგი ფორმა: 3.3.1 კიბოსნაირების გაყიდვიდან მიღებული თანხა.

კითხვას პასუხი უნდა გაეცეს, თუ 3.3 კითხვის პასუხი არ არის **0**.

უნდა ჩაიწეროს საანგარიშო პერიოდში მოცემული წყლის ორგანიზმის გაყიდვიდან მიღებული თანხა ლარებში.

ნაწილი 4. კვება

მოცემულ ნაწილში უნდა აღირიცხოს საანგარიშო პერიოდში თევზებისა და წყლის სხვა ორგანიზმების საკვებად გამოყენებული საკვები. კითხვებს პასუხი უნდა გაეცეს ყველა დასახლებისათვის, წყლის ყველა ორგანიზმისათვის და თევზის ყველა სახეობისათვის ჯამურად.

4.1 გამოყენებული კომბინირებული საკვები (კვ)

უნდა ჩაიწეროს საანგარიშო პერიოდში თევზებისა და წყლის სხვა ორგანიზმების საკვებად გამოყენებული კომბინირებული საკვები კილოგრამებში, მიუხედავად იმისა, საკვები საანგარიშო პერიოდში იქნა შეძენილი თუ საანგარიშო პერიოდამდე.

სხვადასხვა სახეობის კომბინირებული საკვების გამოყენების შემთხვევაში, წონა უნდა ჩაიწეროს ჯამურად.

4.2 გამოყენებული ცხოველური საკვები (კვ)

უნდა ჩაიწეროს საანგარიშო პერიოდში თევზისა და წყლის სხვა ორგანიზმების საკვებად გამოყენებული, შეძენილი ან მეურნეობაში წარმოებული ცხოველური საკვები (ფრინველის შიგნეული, კვერცხი, თევზის ქვირითი ან ლიფსიტა, კიბოსნაირები და ა.შ.) კილოგრამებში, მიუხედავად იმისა, საკვები საანგარიშო პერიოდში იქნა შეძენილი ან მეურნეობაში წარმოებული თუ საანგარიშო პერიოდამდე.

თუ გამოყენებულ იქნა სხვადასხვა ცხოველური საკვები, წონა უნდა ჩაიწეროს ჯამურად.

თუ საკვებად გამოყენებულ იქნა, მცენარეული და ცხოველური საკვების ნარევი, უნდა აღირიცხოს ნარევი მხოლოდ ცხოველური საკვების და არა ნარევის ჯამური წონა.

არ აღირიცხება თევზის და წყლის სხვა ორგანიზმების კვების ექსტენსიური ფორმა. (მაგალითად, როდესაც თევზი ან წყლის სხვა ორგანიზმი იკვებება წყალსატევში არსებული სხვა თევზით, წყლის სხვა ორგანიზმით და ა.შ.).

4.3 გამოყენებული მცენარეული საკვები (კვ)

უნდა ჩაიწეროს საანგარიშო პერიოდში თევზებისა და წყლის სხვა ორგანიზმების საკვებად გამოყენებული, შეძენილი ან მეურნეობაში წარმოებული, მცენარეული საკვები კილოგრამებში, მიუხედავად იმისა, საკვები საანგარიშო პერიოდში იქნა შეძენილი ან მეურნეობაში წარმოებული თუ საანგარიშო პერიოდამდე.

უნდა აღირიცხოს როგორც გადაუმუშავებული და გადამუმუშავებული (ბურღულეული, ფქვილეული, სახამებელი და ა.შ.) მცენარეული საკვები, ასევე მცენარეული ნარჩენები, როგორცაა ნამჯა, ჩალა, კოპტონი, ქატო და ა.შ.

გადამუმუშავებული მცენარეული საკვების გამოყენების შემთხვევაში, უნდა აღირიცხოს გადამუმუშავების შედეგად მიღებული პროდუქტის წონა.

თუ გამოყენებულ იქნა სხვადასხვა მცენარეული საკვები, წონა უნდა ჩაიწეროს ჯამურად.

თუ საკვებად გამოყენებულ იქნა, მცენარეული და ცხოველური საკვების ნარევი, უნდა აღირიცხოს ნარევი მხოლოდ მცენარეული საკვების და არა ნარევის ჯამური წონა.

არ აღირიცხება თევზის და წყლის სხვა ორგანიზმების კვების ექსტენსიური ფორმა (მაგალითად, როდესაც თევზი ან წყლის სხვა ორგანიზმი იკვებება წყალსატევში არსებული წყალმცენარეებით).

მათ შორის:

4.3.1 მარცვლოვანი კულტურები (კგ)

უნდა ჩაიწეროს საანგარიშო პერიოდში თევზისა და წყლის სხვა ორგანიზმების საკვებად გამოყენებული, შექმნილი ან მეურნეობაში წარმოებული, გადაუმუშავებული მარცვლეული კულტურების (ხორბალი, ჭვავი, ქერი, შვრია, სიმინდი, ფეტვი და ა.შ.) ან მათი გადამუმუშავების შედეგად მიღებული პროდუქტის წონა კილოგრამებში, მიუხედავად იმისა, საკვები საანგარიშო პერიოდში იქნა შექმნილი ან მეურნეობაში წარმოებული თუ საანგარიშო პერიოდადღე.

გადამუმუშავებული მარცვლეული კულტურის საკვებად გამოყენების შემთხვევაში, უნდა აღირიცხოს გადამუმუშავების შედეგად მიღებული პროდუქტის წონა.

თუ საკვებად გამოყენებულ იქნა სხვადასხვა მარცვლეული კულტურა, წონა უნდა ჩაიწეროს ჯამურად.

თუ საკვებად გამოყენებულ იქნა, მარცვლეული კულტურების და სხვა საკვების ნარევი, უნდა აღირიცხოს მხოლოდ ნარევი მარცვლეული კულტურების და არა ნარევის ჯამური წონა.

არ აღირიცხება მარცვლეული კულტურების ნარჩენები, როგორცაა ჩალა, ქატო, კოპტონი, ნამჯა და ა.შ.

4.3.2 პარკოსანი კულტურები (კვ)

უნდა ჩაიწეროს საანგარიშო პერიოდში თევზისა და წყლის სხვა ორგანიზმების საკვებად გამოყენებული, შეძენილი ან მეურნეობაში წარმოებული, გადაუმუშავებული პარკოსანი კულტურების (ბარდა, სოიო, და ა.შ.) ან მათი გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტის წონა კილოგრამებში, მიუხედავად იმისა, საკვები საანგარიშო პერიოდში იქნა შეძენილი ან მეურნეობაში წარმოებული თუ საანგარიშო პერიოდამდე.

გადამუშავებული პარკოსანი კულტურის საკვებად გამოყენების შემთხვევაში, უნდა აღირიცხოს გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტის წონა.

თუ საკვებად გამოყენებულ იქნა სხვადასხვა პარკოსანი კულტურა, წონა უნდა ჩაიწეროს ჯამურად.

თუ საკვებად გამოყენებულ იქნა, პარკოსანი კულტურების და სხვა საკვების ნარევი, უნდა აღირიცხოს ნარევი მხოლოდ პარკოსანი კულტურების და არა ნარევის ჯამური წონა.

არ აღირიცხება პარკოსანი კულტურების ნარჩენები.

4.3.3 ბალახები (კვ)

უნდა ჩაიწეროს საანგარიშო პერიოდში თევზისა და წყლის სხვა ორგანიზმების საკვებად გამოყენებული, შეძენილი ან მეურნეობაში წარმოებული, გადაუმუშავებული ერთწლიანი ან მრავალწლიანი ბალახების (სამყურა, იონჯა, ლელქაში და ა.შ.) ან მათი გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტის წონა კილოგრამებში, მიუხედავად იმისა, საკვები საანგარიშო პერიოდში იქნა შეძენილი ან მეურნეობაში წარმოებული თუ საანგარიშო პერიოდამდე.

გადამუშავებული ბალახების საკვებად გამოყენების შემთხვევაში, უნდა აღირიცხოს გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტის წონა.

თუ საკვებად გამოყენებულ იქნა სხვადასხვა ბალახები, წონა უნდა ჩაიწეროს ჯამურად.

თუ საკვებად გამოყენებულ იქნა, ბალახების და სხვა საკვების ნარევი, უნდა აღირიცხოს ნარევი მხოლოდ ბალახების და არა ნარევის ჯამური წონა.

4.3.4 მცენარეული ნარჩენები (კვ)

უნდა ჩაიწეროს საანგარიშო პერიოდში თევზისა და წყლის სხვა ორგანიზმების საკვებად გამოყენებული, შეძენილი ან მეურნეობაში წარმოებული, მცენარეული ნარჩენების (ნამჯა, ჩალა, კოპტონი, ქატო და ა.შ.) წონა კილოგრამებში, მიუხედავად იმისა, საკვები საანგარიშო პერიოდში იქნა შეძენილი ან მეურნეობაში წარმოებული თუ საანგარიშო პერიოდამდე.

თუ საკვებად გამოყენებულ იქნა სხვადასხვა მცენარეული ნარჩენი, წონა უნდა ჩაიწეროს ჯამურად.

თუ საკვებად გამოყენებულ იქნა, მცენარეული ნარჩენების და სხვა საკვების ნარევი, უნდა აღირიცხოს ნარევიში მხოლოდ მცენარეული ნარჩენების და არა ნარევის ჯამური წონა.

4.3.5 სხვა მცენარეული საკვები (კგ)

უნდა ჩაიწეროს საანგარიშო პერიოდში თევზისა და წყლის სხვა ორგანიზმების საკვებად გამოყენებული გადამუშავებული თუ გადაუმუშავებელი, იმ მცენარეული საკვების წონა კილოგრამებში, რომელიც არ აღირიცხა 4.3.1-4.3.4 კითხვებში.

ნაწილი 5. სასუქები და პესტიციდები

მოცემულ ნაწილში უნდა აღირიცხოს საანგარიშო პერიოდში მეურნეობის წყალსატევებში გამოყენებული სასუქები და პესტიციდები. კითხვებს პასუხი უნდა გაეცეს ყველა დასახლების წყალსატევებისათვის ჯამურად.

5.1 სასუქებისა და პესტიციდების გამოყენება

ორგანული სასუქი - უნდა მოინიშნოს პასუხი **დიახ**, თუ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მეურნეობის თუნდაც ერთ წყალსატევში გამოყენებულ იქნა ორგანული სასუქი (ნემომპალა, კომპოსტი, ქათმის წურწუმა და ა.შ.), იმისგან დამოუკიდებლად, წყალსატევ(ებ)ი კვლავ არის თუ არა მეურნეობის სარგებლობაში პერიოდის ბოლოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უნდა მოინიშნოს პასუხი **არა**.

მინერალური სასუქი - უნდა მოინიშნოს პასუხი **დიახ**, თუ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მეურნეობის თუნდაც ერთ წყალსატევში გამოყენებულ იქნა მინერალური სასუქი, იმისგან დამოუკიდებლად, წყალსატევ(ებ)ი კვლავ არის თუ არა მეურნეობის სარგებლობაში პერიოდის ბოლოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უნდა მოინიშნოს პასუხი **არა**.

პესტიციდი - უნდა მოინიშნოს პასუხი **დიახ**, თუ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მეურნეობის თუნდაც ერთ წყალსატევში გამოყენებულ იქნა პესტიციდი, იმისგან დამოუკიდებლად, წყალსატევ(ებ)ი კვლავ არის თუ არა მეურნეობის სარგებლობაში პერიოდის ბოლოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უნდა მოინიშნოს პასუხი **არა**.

5.2 გამოყენებული ორგანული სასუქის მოცულობა (კგ)

კითხვას პასუხი უნდა გაეცეს, თუ 5.1 კითხვაში **ორგანული სასუქზე** მონიშნულია პასუხი **დიახ**.

უნდა ჩაიწეროს საანგარიშო პერიოდში მეურნეობის წყალსატევ(ებ)ში გამოყენებული ორგანული სასუქის (ნაკელი, ნეშომპალა, კომპოსტი, ქათმის წურწუმა და ა.შ.) წონა კილოგრამებში, მიუხედავად იმისა, ორგანული სასუქი საანგარიშო პერიოდში იქნა შეძენილი/ნაჩუქარი ან მეურნეობაში წარმოებული თუ საანგარიშო პერიოდამდე.

თუ მეურნეობის ერთ ან რამოდენიმე წყალსატევში გამოყენებულ იქნა ერთზე მეტი სახის ორგანული სასუქი წონა უნდა ჩაიწეროს ჯამურად.

5.3 გამოყენებული მინერალური სასუქები

კითხვას პასუხი უნდა გაეცეს, თუ 5.1 კითხვაში **მინერალურ სასუქზე** მონიშნულია პასუხი **დიახ**.

უნდა ჩაიწეროს საანგარიშო პერიოდში მეურნეობის წყალსატევ(ებ)ში გამოყენებული მინერალური სასუქის დასახელებები, მიუხედავად იმისა, მინერალური სასუქი საანგარიშო პერიოდში იქნა შეძენილი/ნაჩუქარი თუ საანგარიშო პერიოდამდე. თითოეული მინერალური სასუქი უნდა ჩაიწეროს ცალკე ველში.

თითოეული მითითებული მინერალური სასუქისთვის შეიქმნება ჩანართი, რომელიც შედგება 5.3.1 კითხვისაგან და უნდა შეივსოს შესაბამისი მინერალური სასუქისათვის.

5.3.1 გამოყენებული <მინერალური სასუქის> მოცულობა (კგ)

კითხვა ფორმულირდება მითითებული მინერალური სასუქის შესაბამისად. მაგალითად, თუ შესაბამის ველში მითითებულ იქნა **კალიუმის სულფატი**, კითხვას ექნება შემდეგი ფორმა: 5.3.1 გამოყენებული კალიუმის სულფატის მოცულობა.

უნდა ჩაიწეროს მეურნეობის წყალსატევებში გამოყენებული მოცემული მინერალური სასუქის წონა კილოგრამებში.

5.4 გამოყენებული პესტიციდები

კითხვას პასუხი უნდა გაეცეს, თუ 5.1 კითხვაში **პესტიციდზე** მონიშნულია პასუხი **დიახ**.

უნდა ჩაიწეროს საანგარიშო პერიოდში მეურნეობის წყალსატევ(ებ)ში გამოყენებული პესტიციდების დასახელებები, მიუხედავად იმისა, პესტიციდი საანგარიშო პერიოდში იქნა

შეძენილი/ნაჩუქარი თუ საანგარიშო პერიოდამდე. თითოეული პესტიციდი უნდა ჩაიწეროს ცალკე ველში.

თითოეული მითითებული პესტიციდისთვის შეიქმნება ჩანართი, რომელიც შედგება 5.4.1 კითხვისაგან და უნდა შეივსოს შესაბამისი პესტიციდისათვის.

5.4.1 გამოყენებული <პესტიციდის> მოცულობა

კითხვა ფორმულირდება პესტიციდის შესაბამისად. მაგალითად, თუ შესაბამის ველში მითითებულ იქნა ავანტი, კითხვას ექნება შემდეგი ფორმა: 5.3.1 გამოყენებული ავანტის მოცულობა.

უნდა ჩაიწეროს მეურნეობის წყალსატევებში გამოყენებული პესტიციდის მოცულობა და მონიშნოს შესაბამისი ზომის ერთეული.

ნაწილი 6. ტექნიკა

მოცემულ ნაწილში უნდა აღირიცხოს საანგარიშო პერიოდში აკვაკულტურისათვის გამოყენებული ტექნიკა-მოწყობილობები.

გამოიყენეთ თუ არა ტექნიკა-მოწყობილობები აკვაკულტურისათვის პერიოდის განმავლობაში?

უნდა მონიშნოს პასუხი დიახ, თუ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ერთხელ მაინც მოხდა რაიმე სახის ტექნიკისა თუ მოწყობილობის გამოყენება მეურნეობაში, მიუხედავად იმისა, არის თუ არა მოცემული ტექნიკა/მოწყობილობა მეურნეობის საკუთრებაში; წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა მონიშნოს პასუხი არა.

თუ კითხვაზე მონიშნულია პასუხი დიახ, პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვას:

პერიოდის განმავლობაში მეურნეობაში გამოყენებული ტექნიკა-მოწყობილობები

უნდა მონიშნოს ყველა ის ტექნიკა თუ მოწყობილობა, რომელიც საანგარიშო პერიოდში მეურნეობაში გამოყენებულ იქნა აკვაკულტურისათვის, მიუხედავად იმისა, არის თუ არა მოცემული ტექნიკა/მოწყობილობა მეურნეობის საკუთრებაში.

თუ მეურნეობაში საანგარიშო პერიოდში გამოყენებულ იქნა ისეთი ტექნიკა/მოწყობილობა, რომელიც არ არის ჩამონათვალში, უნდა მონიშნოს პასუხი სხვა. ამ შემთხვევაში პასუხი უნდა გაეცეს კითხვას:

გამოყენებული სხვა ტექნიკა-მოწყობილობები

უნდა ჩაიწეროს იმ ტექნიკის/მოწყობილობის დასახელება, რომელიც საანგარიშო პერიოდში მეურნეობაში გამოყენებულ იქნა აკვაკულტურისათვის და რომელიც არ არის ჩამონათვალში. თითოეული ტექნიკის/მოწყობილობის დასახელება უნდა ჩაიწეროს ცალკე ველში.

თითოეულ მითითებულ ტექნიკაზე/მოწყობილობაზე შეიქმნება ჩანართი, რომელიც შედგება 6.1 კითხვისგან და უნდა შეივსოს შესაბამისი ტექნიკისთვის/მოწყობილობისთვის.

6.1 <ტექნიკა-მოწყობილობის> გამოყენების წყარო

კითხვა ფორმულირდება მონიშნული/ჩაწერილი ტექნიკის/მოწყობილობის შესაბამისად. მაგალითად, **ინკუბატორის** მონიშვნის შემთხვევაში, კითხვას ექნება შემდეგი ფორმა: 6.1 ინკუბატორის გამოყენების წყარო.

ტექნიკის/მოწყობილობის გამოყენების წყაროებია: **საკუთარი, ერთობლივი საკუთრება, დაქირავებული და სხვა.**

უნდა მონიშნოს მოცემული ტექნიკის/მოწყობილობის გამოყენების წყარო.

საჭიროების მიხედვით უნდა მონიშნოს ერთი ან რამოდენიმე პასუხი.

ნაწილი 7. დასაქმება

მოცემულ ნაწილში უნდა აღირიცხოს საანგარიშო პერიოდში აკვაკულტურის მეურნეობაში დასაქმებულების რაოდენობა.

აკვაკულტურის მეურნეობაში დასაქმებული, ეს არის 15 წლის ან უფროსი ასაკის პირი, რომელიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში თუნდაც ერთი, სრული ან არასრული სამუშაო დღე, უსასყიდლოდ ან შემოსავლის (ხელფასი, ნატურალური შემოსავალი, მოგება და სხვ.) მიღების მიზნით, ასრულებდა განსაზღვრულ ვალდებულებას (სამუშაოს) და პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობდა აკვაკულტურის პროდუქტის შექმნაში. იგი შეიძლება იყოს აკვაკულტურის მეურნეობაში დროებით ან მუდმივად დასაქმებული.

აკვაკულტურის პროდუქტის შექმნაში პირდაპირ მონაწილედ ჩაითვლება პირი, თუ ის უშუალოდ ღებულობს მონაწილეობას წყლის ორგანიზმების მოშენებასთან დაკავშირებულ ისეთ პროცესებში, როგორცაა კვება, მოვლა, გამოზრდა, გამრავლება და ა.შ. აკვაკულტურის პროდუქტის შექმნაში არაპირდაპირ მონაწილედ ჩაითვლება პირი, თუ ის ღებულობს მონაწილეობას ისეთ სამუშაოებში, როგორცაა წყალსატევების მოვლა, დაცვა, სარემონტო სამუშაოების ჩატარება და ა.შ.

7.1 აკვაკულტურის მეურნეობაში მუდმივად დასაქმებულების რაოდენობა

აკვაკულტურის მეურნეობაში მუდმივად დასაქმებულია პირი, რომელიც წინასწარ დადგენილი ვადის გარეშე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ან მის გარკვეულ მონაკვეთში ასრულებდა რეგულარულ სამუშაოს.

საანგარიშო პერიოდის გარკვეულ მონაკვეთში დასაქმებული ჩაითვლება მუდმივად დასაქმებულად, თუ ის წინასწარ დადგენილი ვადის გარეშე ასრულებდა რეგულარულ სამუშაოს, მაგრამ რაიმე მიზეზის გამო (ჯანმრთელობის მდგომარეობა, გარდაცვალება, სხვა სამსახურში გადასვლა და ა.შ.) შეწყვიტა მეურნეობაში მუშაობა.

რეგულარული სამუშაო პერიოდულად განმეორებადი და აკვაკულტურის საქმიანობისათვის დამახასიათებელი სამუშაოა.

უნდა ჩაიწეროს საანგარიშო პერიოდში აკვაკულტურის მეურნეობაში მუდმივად დასაქმებულთა რაოდენობა.

7.2 აკვაკულტურის მეურნეობაში დროებით დასაქმებულების რაოდენობა

აკვაკულტურის მეურნეობაში დროებით დასაქმებულია პირი, რომელიც საანგარიშო პერიოდის გარკვეულ მონაკვეთში წინასწარ დადგენილი ვადით ასრულებდა რეგულარულ ან არარეგულარულ სამუშაოს.

რეგულარული სამუშაო პერიოდულად განმეორებადი და აკვაკულტურის საქმიანობისათვის დამახასიათებელი სამუშაოა.

არარეგულარული სამუშაო აკვაკულტურის საქმიანობასთან პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებული სამუშაოა, რომელიც უკავშირდება რაიმე კონკრეტულ, მიზნობრივ, შემთხვევითობით წარმოქმნილ საჭიროებას. მაგალითად: წყალსატევის, აკვაკულტურისათვის განკუთვნილი ტექნიკა-მოწყობილობების შეკეთება/გარემონტება, წყალსატევებში სასუქების ან პესტიციდების ერთჯერადად შეტანა და ა.შ.

გასათვალისწინებელია, რომ საქმიანობის რეგულარულობა და არარეგულარულობა დამოკიდებულია კონკრეტული აკვაკულტურის მეურნეობის საქმიანობის ხასიათზე (სპეციფიკაზე).

უნდა ჩაიწეროს საანგარიშო პერიოდში აკვაკულტურის მეურნეობაში დროებით დასაქმებულთა რაოდენობა.

მათ შორის:

7.2.1 სეზონურად დასაქმებულების რაოდენობა

აკვაკულტურის მეურნეობაში სეზონურად დასაქმებულია პირი, რომელიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ასრულებდა სეზონურ სამუშაოს (სამუშაო, რომელიც უკავშირდება წყლის ორგანიზმების მოშენების ან წყალსატევების მოვლის სეზონურ თავისებურებებს).

უნდა ჩაიწეროს საანგარიშო პერიოდში აკვაკულტურის მეურნეობაში სეზონურად დასაქმებულთა რაოდენობა.

7.2.2 ერთჯერადად დასაქმებულების რაოდენობა

აკვაკულტურის მეურნეობაში ერთჯერადად დასაქმებულია პირი, რომელმაც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კონკრეტული საჭიროებიდან გამომდინარე საათობრივად ან დღიურად შეასრულა უმეტეს შემთხვევაში არარეგულარული სამუშაო.

ერთჯერადი სამუშაო შესაძლოა იყოს საათობრივი, დღიური ან რამოდენიმე კვირიანი; იგი ძირითადად არარეგულარულია და დაკავშირებულია კონკრეტულ მიზანთან/ამოცანასთან. მაგალითად: მეურნეობაში წყალსატევის, აკვაკულტურისათვის განკუთვნილი ტექნიკა-მოწყობილობების შეკეთება, ახალი წყალსატევების მშენებლობა და მოწყობა, წყლის ორგანიზმებისათვის ერთჯერადი სანიტარიული/ჰიგიენური სამუშაოების ჩატარება, წყლის ორგანიზმების დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა, წყალსატევებში სასუქების ან პესტიციდების ერთჯერადად შეტანა და ა.შ.

ერთჯერადი სამუშაო შეიძლება დაკავშირებული იყოს რეგულარულ საქმიანობასთანაც. მაგალითად, როდესაც მუდმივად დასაქმებულის (რომელიც ასრულებს რეგულარულ სამუშაოს) სამუშაო რაიმე მიზეზის გამო ერთჯერადად შეასრულა სხვა პირმა.

უნდა ჩაიწეროს საანგარიშო პერიოდში აკვაკულტურის მეურნეობაში ერთჯერადად დასაქმებულთა რაოდენობა.

7.3 აკვაკულტურის მეურნეობაში დაქირავებულების რაოდენობა

აკვაკულტურის მეურნეობაში დაქირავებულია პირი, რომელიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შემოსავლის (ხელფასი, ნატურალური შემოსავალი, მოგება და სხვ.) მიღების მიზნით, ასრულებდა განსაზღვრულ ვალდებულებას (სამუშაოს). იგი შეიძლება იყოს აკვაკულტურის მეურნეობაში როგორც მუდმივად, ასევე დროებით დასაქმებული.

უნდა აღირიცხოს საანგარიშო პერიოდში აკვაკულტურის მეურნეობაში დაქირავებულთა რაოდენობა.

ნაწილი 8. ეკონომიკური ინფორმაცია

მოცემულ ნაწილში უნდა აღირიცხოს მეურნეობის მიერ საანგარიშო პერიოდში აკვაკულტურისათვის გაწეული ხარჯები და აღებული კრედიტები.

8.1 აკვაკულტურისათვის გაწეული ხარჯები

აკვაკულტურისათვის გაწეული ხარჯების თითოეულ ტიპზე უნდა მონიშნოს პასუხი **დიახ** ან **არა**.

პასუხი **დიახ** უნდა მონიშნოს ხარჯების იმ ტიპებზე, რომლებიც მეურნეობის მიერ გაწეულ იქნა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში; დანარჩენ შემთხვევაში უნდა მონიშნოს პასუხი **არა**.

აკვაკულტურისათვის გაწეულ თითოეულ ხარჯის ტიპზე, რომელზეც მონიშნულია პასუხი **დიახ**, უნდა ჩაიწეროს მეურნეობის მიერ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, როგორც ფულით გაწეული დანახარჯი, ისე ნატურით გადახდილის ღირებულება ჯამურად ლარებში.

წყლის ორგანიზმების შეძენაზე გაწეული ხარჯები

1 თევზის ქვრითის შეძენა

უნდა ჩაიწეროს ლიფსიტის გამოსაზრდელად საანგარიშო პერიოდში თევზის ქვრითის შეძენაზე გაწეული ხარჯი ლარებში, მიუხედავად იმისა, ლიფსიტა საანგარიშო პერიოდში უნდა მიღებულიყო თუ საანგარიშო პერიოდის შემდგომ, ან ქვრითი განაყოფიერებული იქნა შეძენილი თუ გაუნაყოფიერებელი.

თუ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოხდა ერთზე მეტი სახეობის ქვრითის შეძენა, ან განაყოფიერებული და გაუნაყოფიერებელი ქვრითის ერთდროულად შეძენა, თანხა უნდა ჩაიწეროს ჯამურად.

არ უნდა აღირიცხოს ხიზილალის დასამზადებლად ან საკუთარი მოხმარებისათვის შეძენილ ქვრითზე გაწეული ხარჯი.

2 თევზის ლიფსიტის შეძენა

უნდა ჩაიწეროს სასაქონლე თევზის გამოსაზრდელად საანგარიშო პერიოდში თევზის ლიფსიტის შეძენაზე გაწეული ხარჯი ლარებში, მიუხედავად იმისა, სასაქონლე თევზი საანგარიშო პერიოდში უნდა გამოზრდილიყო თუ საანგარიშო პერიოდის შემდგომ.

თუ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოხდა ერთზე მეტი სახეობის ლიფსიტის შექმნა, თანხა უნდა ჩაიწეროს ჯამურად.

არ უნდა აღირიცხოს საკუთარი მოხმარებისათვის (მაგალითად, თევზის საკვების დასამზადებლად) შექმნილ ლიფსიტაზე გაწეული ხარჯი.

3 სასაქონლე თევზის შექმნა

უნდა ჩაიწეროს შემდგომი გამოზრდის მიზნით საანგარიშო პერიოდში სასაქონლე თევზის, აგრეთვე, მდედრი მწარმოებლების, მამრი მწარმოებლების ან სარემონტო თევზების შექმნაზე გაწეული ხარჯი ლარებში.

თუ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოხდა ერთზე მეტი სახეობის სასაქონლე თევზის შექმნა, თანხა უნდა ჩაიწეროს ჯამურად.

არ უნდა აღირიცხოს საკუთარი მოხმარებისათვის შექმნილ სასაქონლე თევზზე გაწეული ხარჯი.

4 წყლის სხვა ორგანიზმების შექმნა

უნდა ჩაიწეროს შემდგომი გამოზრდის მიზნით საანგარიშო პერიოდში წყლის ორგანიზმების (თევზის გარდა) შექმნაზე გაწეული ხარჯი ლარებში, მიუხედავად იმისა, განვითარების რომელ სტადიაზეა შექმნილი წყლის ორგანიზმი.

თუ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოხდა წყლის ერთზე მეტი ორგანიზმის შექმნა თანხა უნდა ჩაიწეროს ჯამურად.

არ უნდა აღირიცხოს საკუთარი მოხმარებისათვის (მაგალითად, ადამიანის, ცხოველის, ფრინველის ან წყლის ორგანიზმების საკვებად და ა.შ.) შექმნილ წყლის სხვა ორგანიზმებზე გაწეული ხარჯი.

მიმდინარე ხარჯები

5 წყლის გადასახადი

უნდა ჩაიწეროს მეურნეობის სარგებლობაში არსებულ წყალსატევებში შემოდინებული წყლის გადასახადი ლარებში.

არ უნდა აღირიცხოს წყლის რამოდენიმეწლიან ლიცენზიის/ნებართვის ალებაზე გაწეული ხარჯი ან საკუთარი მოხმარებისათვის გამოყენებული წყლის გადასახადი.

6 წყლის ორგანიზმების საკვების შეძენა

უნდა ჩაიწეროს საანგარიშო პერიოდში წყლის ორგანიზმების საკვების შეძენაზე გაწეული ხარჯი ლარებში, მიუხედავად იმისა, მოცემული საკვებით საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოხდა წყლის ორგანიზმების გამოკვება თუ საანგარიშო პერიოდის შემდგომ.

თუ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოხდა კომბინირებული, მცენარეული და ცხოველური საკვების შეძენა, თანხა უნდა ჩაიწეროს ჯამურად.

არ უნდა აღირიცხოს საკვების მოსაპოვებლად/დასამზადებლად გაწეული ხარჯი (მაგალითად, თევზის საკვებად გამოყენებული ბალახის მოსათიბად დაქირავებული მუშახელის ხელფასი და ა.შ.).

7 სასუქებისა და პესტიციდების შეძენა

უნდა ჩაიწეროს საანგარიშო პერიოდში წყალსატევებში გამოსაყენებელ სასუქებსა და პესტიციდების შეძენაზე გაწეული ხარჯი ლარებში, მიუხედავად იმისა, მოცემული სასუქი/პესტიციდი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში იქნა გამოყენებული თუ საანგარიშო პერიოდის შემდგომ.

თუ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოხდა სხვადასხვა სახეობის სასუქების ან პესტიციდების შეძენა, თანხა უნდა ჩაიწეროს ჯამურად.

არ უნდა აღირიცხოს ორგანული სასუქის მოსაპოვებლად/დასამზადებლად გაწეული ხარჯები (მაგალითად, კომპოსტის დასამზადებლად დაქირავებული მუშახელის ხელფასი და ა.შ.).

8 ტექნიკის დაქირავება

უნდა ჩაიწეროს საანგარიშო პერიოდში აკვაკულტურისათვის განკუთვნილი ტექნიკის დაქირავებაზე/იჯარაზე გაწეული ხარჯი ლარებში.

9 ლაბორატორიული და იქთიოპათოლოგის მომსახურება

უნდა ჩაიწეროს საანგარიშო პერიოდში წყლის ორგანიზმებისთვის გაწეულ ლაბორატორიულ და იქთიოპათოლოგის მომსახურებაზე გაწეული ხარჯი ლარებში.

10 მედიკამენტების შეძენა

უნდა ჩაიწეროს საანგარიშო პერიოდში წყლის ორგანიზმებისათვის განკუთვნილ მედიკამენტებზე გაწეული ხარჯი ლარებში, მიუხედავად იმისა, მოცემული მედიკამენტები საანგარიშო პერიოდის განმავლობაში იქნა გამოყენებული თუ საანგარიშო პერიოდის შემდგომ.

თუ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოხდა სხვადასხვა მედიკამენტის შეძენა, თანხა უნდა ჩაიწეროს ჯამურად.

11 დაქირავებულთა ანაზღაურება

უნდა ჩაიწეროს საანგარიშო პერიოდში აკვაკულტურის მეურნეობაში დაქირავებულთა ხელფასზე გაწეული ხარჯი ლარებში.

არ უნდა აღირიცხოს იქთიოპათოლოგის მომსახურებაზე გაწეული ხარჯი, რომელიც უკვე აღირიცხა მე-9 კითხვაში.

12 სხვა მიმდინარე ხარჯები

უნდა ჩაიწეროს საანგარიშო პერიოდში გაწეული ყველა ის მიმდინარე ხარჯი ლარებში, რომელიც არ აღირიცხა 5-11 კითხვებში.

კაპიტალური ხარჯები

13 წყალსატევის შეძენა

უნდა ჩაიწეროს საანგარიშო პერიოდში აკვაკულტურისათვის განკუთვნილი წყალსატევე(ებ)ის შეძენაზე გაწეული ხარჯი ლარებში.

14 წყალსატევეზე იჯარის გადასახადი

უნდა ჩაიწეროს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აკვაკულტურისათვის განკუთვნილი წყალსატევის იჯარის გადასახადი ლარებში.

15 წყალსატევის გარემონტება

უნდა ჩაიწეროს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აკვაკულტურისათვის განკუთვნილი წყალსატევე(ებ)ის შეკეთებაზე/გარემონტებაზე გაწეული ხარჯი ლარებში.

აკვაკულტურისათვის განკუთვნილი წყალსატევ(ებ)ის შეკეთებაზე/გარემონტებაზე გაწეული ხარჯებია: წყალსატევის მობეტონებაზე, გამდინარე/ჩაკეტილი წყლის მიმოცვლის სისტემის მოწყობაზე გაწეული ხარჯები და ა.შ.

16 ტექნიკის შეძენა

უნდა ჩაიწეროს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აკვაკულტურისათვის განკუთვნილი ტექნიკა-მოწყობილობების შეძენაზე გაწეული ხარჯი ლარებში.

17 წყლით სარგებლობის ლიცენზია

უნდა ჩაიწეროს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში წყლით სარგებლობის ლიცენზიის ან ნებართვის აღებაზე გაწეული ხარჯი ლარებში.

18 სხვა კაპიტალური ხარჯები

უნდა ჩაიწეროს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეული ის კაპიტალური ხარჯი, რომელიც არ აღირიცხა 13-17 კითხვებში.

კრედიტი

8.2 აკვაკულტურისათვის აღებული კრედიტი

უნდა ჩაიწეროს მეურნეობის მიერ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აკვაკულტურისათვის აღებული კრედიტ(ებ)ის ჯამური ოდენობა ლარებში.

8.2.1 კრედიტის აღების მიზანი

კითხვას პასუხი უნდა გაეცეს, თუ 8.2 კითხვის პასუხი არ არის 0.

უნდა მოინიშნოს მიზანი, რისთვისაც საანგარიშო პერიოდში აღებულ იქნა კრედიტი.

საჭიროების შესაბამისად შესაძლებელია ერთზე მეტი პასუხის მონიშვნა.